ყოველი ბოლოვლია, „ყოველია" ერთი

ვერსია

№104 (860) 9 - 10 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თვითრი

RADIO MUZA

გვ. 4

რატომ შევიდა „მუზას" საქმე „სამართლებრივ ჩიხში" და ეწირება თუ არა აპოლიტიკური რადიო პოლიტიკურ ინტერესებს

სანდრა რულოვსის რადიო „მუზა" დაიხურება?!

დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გვ. 5

„ასკანელი ძმების" პროდუქცია რუსეთის ბაზარზე შეუფერხებლად იგზავნება

ASKANELI BROTHERS

კომპანია მორიგ გაუგებრობას პასუხობს

გვ. 2

ვის ინტერესებში შედის პროფილაქტიკური ცენტრის „შუა ქალაქი" გასხვისება და რამდენ ათას ლარს იჯიბავს მერია ყოველთვიურად

გვ. 12

ლუდი „მთიელის" ახალი კლიპის პრემიერა „შავფაროსნების" მონაწილეობით

გვ. 7

გვ. 3

რეზო შაფაკიშვილი

ქართველი საარჩევნო ურნასთან დგება და ხმას ნაგავივით იშორებს

გიორგი მარგველაშვილი არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვებს!

გვ. 2

გოგა ხაჩიძე:

„არავის ჰქონდეს ილუზია, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან წავა, პირიქით, მისი ლიდერობით, ხელისუფლებაში დავბრუნდებით!"

გვ. 6

გიორგი მარგველაშვილი არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვებს!

კახა მაისურაძე

საპრეზიდენტო არჩევნებამდე 20 დღეც აღარ დარჩა, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი მის შედეგებზე. მიუხედავად ზოგიერთი საპრეზიდენტო კანდიდატის მცდელობისა, ხალხი დაარწმუნოს, რომ არჩევნებში გამარჯვებულის ბედი მეორე ტურში გადაწყდება, ეს საფუძველს მოკლებული პოლიტიკური სპეკულაციაა, რითაც ნაციონალური მოძრაობისა და დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატები არიან დაკავებულნი. დავით ბაქრაძესა და ნინო ბურჯანაძეს აქვს მხოლოდ მცირე შანსი, არჩევნებში ხმების მეტ-ნაკლებად სოლიდური რაოდენობა მოიპოვონ, მაგრამ არა იმდენი, რომ გიორგი მარგველაშვილმა პირველსავე ტურში ვერ გაიმარჯვოს და მეორე ტურში მოგვიწიოს პრეზიდენტის ვინაობის გარკვევა.

ჩემს ვარაუდს „ენ-დი-აი“-სა და სხვა სოლიდური არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებიც ადასტურებს. „ენ-დი-აი“-ს ბოლო კვლევების თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის ერთპიროვნულად ლიდერობს გიორგი მარგველაშვილი. კითხვაზე, ვის ისურვებდით საქართველოს პრეზიდენტად? — გამოკითხულთა 39%-მა განაცხადა, რომ მას გიორგი მარგველაშვილის ხილვა სურს პრეზიდენტად, დავით ბაქრაძე — 18%-ს, ხოლო ნინო ბურჯანაძე მხოლოდ 7-ს. გამოკითხულთა 20% ამ ეტაპზე პასუხისგან თავს იკავებს, მაგრამ დიდი ალბათობით, უდიდესი ნაწილი, არჩევნების დღეს, მარგველაშვილის მხარდამჭერი აღმოჩნდება. ამას კი თავისი ლოგიკური ახსნა აქვს და თუ რატომ, ქვემოთ მოგახსენებთ. იმავე „ენ-დი-აი“-ს კვლევით, პრეზიდენტობის კანდიდატების მოწონების მაჩვენებელი ასე გამოიყურება: გიორგი მარგველაშვილი 53%, დავით ბაქრაძე — 39%, ნინო ბურჯანაძე — 33%. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი უკონკურენტო კანდიდატია და გამარჯვებისთვის მას მეორე ტური არ დასჭირდება. ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის (ARI) სოციოლოგიური კვლევის შედეგით, გიორგი მარგველაშვილს 41%-იანი რეიტინგი აქვს, ყველა დანარჩენ კანდიდატს ერთად კი მხოლოდ — 28%. მოკლედ, წესით, მათ შანსებზე დაწვრილებით და ცალ-ცალკე არც კი ღირს ლაპარაკი.

ნინო ბურჯანაძეს არჩევნებში დიდი მხარდაჭერა არ ექნება, რადგან ის დღემდე „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან ებრძვის სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ გუნდს, მანამდე, მთელი 5 წელი ამ გუნდის ერთ-ერთი სახე, განუყოფელი ნაწილი იყო. ცხადია, 2004-2008 წლებში იმ დანაშაულებათა თანამონაწილეც გახლავთ, რასაც ნაცმოძრაობა სჩადიოდა და რასაც იგი, უკეთეს შემთხვევაში, დუმილით ხვდებოდა და ერთი პროტესტიც კი არ გამოუთქვამს. როცა ნაციონალები ქვეყანას აქცევდნენ, ნინო ბურჯანაძე გვარწმუნებდა, რომ ქვეყანა შენდებოდა და თავად, სახელმწიფოს მიერ ბოძებულ არანაირ სიკეთეზე არ ამბობდა უარს — პარლამენტის თავმჯდომარე ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობდა, რაც სახელმწიფომ დაუწესა. ერთხელ არ გახსენებია გაჭირვებული ხალხი (ახლა, წინასაარჩევნოდ, დღე და ღამე მათი გასაჭირით რომ აპელირებს), ერთხელ არ გადაუდგამს ისეთი ნაბიჯი, გველის ნაკბენივით რომ ახსოვდეს საზოგადოებას — ნინო ბურჯანაძემ გარისკა, კარიერა საფრთხეში ჩაიგდო და ქვეყნისა და ხალხის სასიკეთო საქმე გააკეთაო. საზოგადოებაში არაპოპულარულია ნინო ბურჯანაძის აშკარად ცალსახა, პრორუსული პოლიტიკა. კი, რუსეთთან ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ არა კოლაბორაციონისტული პოლიტიკის ხარჯზე. ბურჯანაძის „რუსული პოლიტიკა“ კი საქართველოს ინტერესების საზარალოდაა მომართული. ის თანახმაა, ოღონდ რუსეთთან ურთიერთობა დათბეს, საქართველომ მაქსიმუმი გაიღოს და სანაცვლოდ არაფერი მიიღოს. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო, ნინო ბურჯანაძეს არანაირი შანსი არ აქვს, არჩევნებში ხმების იმდენი რაოდენობა მიიღოს, საქმე მეორე ტურისკენ წავიდეს. ნინო ბურჯანაძე ნამდვილად არ არის ის კანდიდატი, რომლის რეიტინგი და ხალხის სადღეისო მხარდაჭერა გიორგი მარგველაშვილის პირველსავე ტურში გამარჯვებას ეჭვქვეშ რომ დააყენებს და ხმების სოლიდურ რაოდენობას გაუყოფს.

დავით ბაქრაძეზე მოკლედ ვიტყვი. ის იმ პოლიტიკური ძალის საპრეზიდენტო კანდიდატია, 9 წლის განმავლობაში ქართულ იდეოლოგიას რომ ებრძოდა, მაგრამ ვერ დაამარცხა. თუ რაიმე უბედურება არსებობს, ყველაფერი დამართა ხალხსა და ქვეყანას, შეურაცხყო და ბოდიშის მოხდის ღირსადაც კი არ ჩათვალა. დავით ბაქრაძე განწირულია პირველსავე ტურში მარცხისთვის — რაც დაიმსახურეს ნაციონალებმა, 27 ოქტომბერს იმასვე მიიღებენ. იმ გუნდის ღირსეული წარმომადგენელი დავით ბაქრაძე ორგზის მინისტრი და 4 წელი პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ და ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ხელი არ გაუტოკებია.

უნდა ვაღიაროთ, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ტაქტიკურად უშეცდომო ბრძოლა, სააკაშვილი და ნაცმოძრაობა დღესაც პოლიტიკაში იქნებოდნენ და ამ ქვეყანას განვითარების ყველა შანსს ჩაუკლავდნენ. ივანიშვილთან ერთად ბევრი ჩაება ამ მართლაცდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და მათ შორის, გიორგი მარგველაშვილიც, რაც საზოგადოებას კარგად ახსოვს. არჩევნებში კი მას ეს რისკი, საკუთარი კეთილდღეობის სასწორზე შეგდება (და იქნებ სიცოცხლისაც) ქვეყნის ინტერესების გამო, წინ დახვდება.

გიორგი მარგველაშვილის პირველსავე ტურში გამარჯვების შანსებს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ მის წარსულში ერთი შავი ლაქაც კი არ არსებობს. კულუარული ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბების წარმომადგენლები, აგერ სამი თვეა, იქექებიან და მარგველაშვილს ვერც წარსულიდან, ვერც აწმყოდან, ერთი კომპრომატიც კი ვერ ამოუქექეს. საქართველოში კი აშკარად სუფთა, უმწიკვლო პოლიტიკოსების დეფიციტია. ამდენად, ლოგიკურად, იმ 20% თავშეკავებული ადამიანიდან, დღეს არც ერთ კანდიდატს რომ არ უჭერს მხარს, დიდი ნაწილი არჩევნების დღეს სწორედ ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის ფავორიტის, გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერი გახდება.

განათლების სამინისტროში გატარებული რეფორმებიც გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკურ კაპიტალს უნდა დავუმატოთ. ყველაფერს თავი დავანებოთ, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების დარიგების პრაქტიკის დანერგვით, მან დაამტკიცა, რომ ხალხის პრობლემებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკოსია. მნიშვნელოვანია, მისი მინისტრობისას სხვადასხვა უნივერსიტეტებში, სახელმწიფო დაფინანსებით, უფასო ფაკულტეტების შემოღება, რაც ერთობლივად, სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტიცაა და მრავალი სტუდენტისთვის, კვალიფიციური და უფასო განათლების გარანტირებულად მიღების საშუალებაც. საინტერესოა, როგორ აფასებენ არჩევნების მეორე ტურის გამართვის შესაძლებლობას ექსპერტები და პოლიტიკოსები.

კახი კახიშვილი, ექსპერტი: „რაც შეეხება მეორე ტურს, ყველაფერი დამოკიდებულია ხალხის აქტიურობაზე. ამომრჩეველი თუ ისეთივე აქტიური იქნება, როგორც 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, შეიძლება მეორე ტური იყოს და თუ პოლიტიკურად მოტივირებული ამომრჩეველი მივა არჩევნებზე, ვგულისხმობ, იმ ამომრჩეველს, რომელიც, კონკრეტულად, რომელიმე პარტიის მოტივირებული მხარდამჭერია, მაშინ მეორე ტური არ იქნება!“

ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი: „საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ შედგება. ამომრჩევლები ხმას გიორგი მარგველაშვილს მისცემენ და ის საქართველოს ახალი პრეზიდენტი გახდება. ეს გამოკითხვებიდანაც კარგად ჩანს“.

ზვიად ძიძიგური, საქართველოს პარლამენტის წევრი: „ჩემთვის ეჭვგარეშეა, რომ გიორგი მარგველაშვილი პირველსავე ტურში იმარჯვებს. ციფრიც შემიძლია გითხრათ — კოალიციის კანდიდატი ხმების 60%-ზე მეტს მიიღებს. საქართველოს პოლიტიკურ რეალობას კარგად ვიცნობ და არსებობს ემპირიული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რომ მარგველაშვილს დღეს კონკურენტი არ ჰყავს“.

ზაქარია ქუცნაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი: „ყველა გამოკითხვით, მარგველაშვილს ხმების 50%-ზე მეტი აქვს. გარდა ამისა, ამომრჩეველთა 20%-ზე მეტს ჯერ არ ჩამოუყალიბებია, თუ ვის მისცემს ხმას. ამდენად, ვვარაუდობ, რომ კოალიციის კანდიდატი, პირველსავე ტურში გაიმარჯვებს!“

„ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე შეუფერხებლად იგზავნება

კომპანია მორიგ გაუგებრობას პასუხობს

„პროდუქციას არავითარი პრობლემა არ შექმნია. ჩვენმა კომპანიამ უკვე მიმართა ონიშჩენკოს უწყების წარმომადგენლებს, საიდანაც მოვიდა პასუხი, რომ კომპანიასთან არავითარი შენიშვნა არ აქვთ“, — განაცხადა „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელმა ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელმა.

კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე, უკვე სამი თვეა, წარმატებით და შეუფერხებლად იგზავნება. ივნისის შემდეგ, კომპანიამ რუსეთის ფედერაციაში 650 000 ბოთლზე მეტი ღვინო გაიტანა. ამის გარდა, მოხდა კომპანია „ასკანელი ძმების“ კონიაკის ნიმუშების სერტიფიცირებაც. კონიაკები „ასკანელი“ და „გიდელი“ ექსპორტზე გასატანად უკვე მზადაა და, უახლოეს დღეებში, მოხდება მათი რუსეთის ფედერაციაში გაგზავნა, — ამის შესახებ ნათქვამია „ასკანელი ძმების“ მიერ 8 ოქტომბერს გავრცელებულ ოფიციალურ პრესრელიზში.

როგორც „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელი ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელი აცხადებს, რუსეთის ბაზარზე, ამ დროისთვის „ასკანელი ძმების“ ცხრა დასახელების ღვინო გადის. „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ალაზნის ველი-ნითელი“, „ალაზნის ველი-თეთრი“, „ხვანჭკარა“, „საფერავი“, „მუკუზანი“, „ახაშენი“ და „ოჯალეში“ — ეს იმ ღვინის სახეობებია, რომლის რეალიზებასაც რუსეთის უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი „მაგნიტი“ ფედერაციის მთელი მასშტაბით ახორციელებს. ასევე, „ასკანელი ძმების“ პროდუქციის დისტრიბუცია რუსეთში ისეთ დიდ ქსელებსა და ჰიპერმარკეტებში ხორციელდება, როგორებიცაა „X5“, „კოპეიკა“, „პერეკრესტოკი“, „კარუსელი“ და სხვა.

კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთის სამომხმარებლო უფლებათა დაცვის ფედერალურმა სამსახურმა (როსპოტრებნადზორი), კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია დაბლოკა, სიმართლეს არ შეესაბამება.

„სახეზეა რიგითი გაუგებრობა, ვინაიდან კომპანიის ღვინო, უკვე სამ თვეზე მეტია, იგზავნება რუსეთის ფედერაციაში და ამ დრომდე არც პარტნიორი კომპანიებისა და არც ფედერალური სამსახურისგან ჩვენს

კომპანიას „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელი ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელმა.

მისივე ინფორმაციით, კომპანია დინამიურად ვითარდება, შენდება ახალი საწარმო, რომელიც აღჭურვილი იქნება იტალიური ტექნიკა-დანადგარებით. გაორმაგებული სიმძლავრის მქონე ქარხნის მშენებლობა ISO სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს და 6 თვეში დასრულდება.

კომპანია „ასკანელი ძმები“ 15 წლის წინ დაარსდა და დღეისთვის ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართული ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას.

„ასკანელი ძმების“ პროდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და მინიჭებული აქვს 100-ზე მეტი ჯილდო, სხვადასხვა გამოფენებსა და დეგუსტაციებზე. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელი გადის ექსპორტზე 19 ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში.

ქართველი საარჩევნო ურნასთან დგება და ხმას ნაგავივით იშორებს



რეზო შატაკიშვილი

რიტორიკაში კი წერია, რომ ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმა, მაგრამ ამჯერად, დასკვნით დავიწყებ – ქართველები ხმას ისე „უპრაგონოდ“, ანგარიშმიუცემლად ვიძლევით, როგორც სლავი კალთამადლიანი ქალები იძლევიან! არ მკითხოთ ახლა, რას! — კომბოსტოს! რა ვქნა, სხვა დასკვნამდე ვერ მივედი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ „გადავაანალიზე“, „გადმოვაანალიზე“....

13 წლის ვიყავი, საქართველოში პირველად რომ ჩატარდა არჩევნები. მართლა არჩევნები, თორემ არჩევნები საბჭოთა კავშირშიც იყო – თუ იმას არჩევნები ერქვა. საბჭოთა ქვეყანაში ფიქცია იყო საბჭოების არჩევა, ყველა დონეზე. ალბათ სწორედ იქიდან იღებს სათავეს ეს აგდებული დამოკიდებულებაც საკუთარი ხმის მიმართ. იმ 1990 წელს, მახსოვს, როგორ მიაწყდა ხალხი საარჩევნო უბნებს ერთი იმედით — დაემარცხებინათ რაღაც ცუდი და დაეწყოთ ახალი ცხოვრება, თუმცა ნუ ვიტყვით, რომ ყველას სურდა კომუნისტების დამარცხება. როგორც იმ დღიდან თითქმის 20 წლის შემდეგ მიხეილი იტყოდა – ნურას უკაცრავად! იმ არჩევნებზე კომუნისტებმა 44 დეპუტატი გაიყვანეს პროპორციული წესით და 17 დეპუტატი – მაჟორიტარად. ეგეც თქვენი პარადოქსი – ირჩევდნენ იმ პარტიას, იმ სისტემას, იმ საბჭოთა კავშირს, რომელმაც, სულ რაღაც ერთი წლის წინ, ორლესული ნიჩბებით გოგო-ბიჭები აუჩეხა! დიახ, საბჭოთა კავშირს, დიახ, რუსეთს! არ მითხრათ ახლა, დამოუკიდებელი საქართველო უნდოდათ, ოღონდ კომუნისტურიო და, საერთოდ, რა ამოძრავებდა ამომრჩეველს მაშინ? ვინც კომუნისტებს აძლევდა ხმას, ალბათ, პირადი კეთილდღეობა, არსებული, მისთვის კომფორტული მდგომარეობის შენარჩუნება, თბილი სავარძლის გადარჩენა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად იდგა ეს თბილი სავარძელი – რომელიმე რაიკომში, ცეკაში თუ სადმე „ცეხში“, სადაც მაყუთი იჭრებოდა და, ალბათ, სიახლის შიშიც ამოძრავებდათ – შეჩვეული ჭირი ერჩიათ ახალს. მაშინ „მრგვალი მაგიდის“ პროპორციული სიით 81 დეპუტატი გავიდა, მაჟორიტარულით – 43 და უმრავლესობაც მოიპოვა. რა ამოძრავებდა მაშინ მრგვალების ელექტორატს, მხოლოდ კომუნისტების დამარცხების სურვილი? ახალ ქვეყანაზე, დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნება? მოდი, აქვე ვიტყვი, მაშინ სხვანაირი ოცნება ვიცოდით, სხვა იმედები გვქონდა, დღევანდელ ოლიგარქიულ იმედ-ოცნებებში ნუ აურევთ! ზვიად გამსახურდიას ქარიზმა? ხიბლი, რომელიც უდავოდ ჰქონდა? თუ ფროიდისტული ტენდენციებიც დომინირებდა არჩევნებში, როგორც მერე არაერთხელ ითქვა, ზვიადი ქალებს კაცად მოსწონდათო?! ხომ ლამის ფოლკლორად იქცა – „როიალზეც უკრავს? მაგას ვენაცვალე!“

უზენაესი საბჭოს არჩევნებიდან ხუთ თვეში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ხალხმა ერთსულოვნად მოითხოვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, სწორედ ეს ერთსულოვნება იყო პარადოქსული. ხუთი თვის წინ ვინც ხმა მისცა კომპარტიას, ახლა ხმა მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობას, რა მოხდა? დავიჯეროთ, ასე ერთბაშად სავლე-პავლე დაემართა ყველას? რანაირად შეეცვალათ პოლიტიკური გემოვნება? აქ ხომ საუბარი არ იყო ნიუანსურ საკითხებზე? კომუნისტებსა და მათ ელექტორატს უნდოდა იმ სისტემის, იმ „დერჟავას“ შენარჩუნება და ასე, უცებ, ქვეყნის დამოუკიდებლობა მოუნდათ? მოდი, დავიჯეროთ, რომ გონება გაუნათდათ და ისევ ამ ნათელი გონებით, ორი თვის თავზე, პირველ საპრეზიდენტო არჩევნებშიც, ისევ ერთსულოვნად ხმა მისცეს ზვიად გამსახურდიას. კი, მაგრამ, რა მოხდა 1991 წლის ზაფხულში ასეთი? ისევ რომ შესძულდათ და ქუჩაში გამოცვივდნენ? ზვიადმაც სახლები დაანგრია თაბუკაშვილზე? ზვიადმაც „გარაჟები“ დაუნგრია? თუ ქვეყნის დამოუკიდებლობა მოუნდათ, ხომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ხომ მიდიოდა ამ გზაზე? აა, დემოკრატია მოუნდათ ხომ უცებ? რომელი დემოკრატია, რომლისკენაც, აგერ უკვე 20 წელია, მივიწევთ და ვერ მიგვიღწევია? ზვიადს 2 თვეში უნდა მიეღწია? პოლაროიდია მამაძაღლი?! რაიმე ახსნა მოეძებნება განწყობის ასე სწრაფ ცვლას? თან ისეთ ცვლას, ხელში ავტომატს რომ აგაღებინებს და ძმათამკვლელ ომამდე მიგიყვანს?

თუ ზვიადის პიროვნულმა ხიბლმა დაახვია თავბრუ, რა მოხდა – როიალზე აღარ უკრავდა თუ ბოდღერი აღარ იცოდა? ცხადია, ეს პროცესები რუსეთიდან იყო მართული და ადგილზე კიდევ ნომენკლატურული შურისძიება დახვდა. კომუნისტებმა ელვის სისწრაფით აუღეს „აბაროტი“ და დაბრუნდნენ უკან, ხელისუფლებაში. არც არსად წასულან, ნუ, ახლა ცოტა კოსმეტიკა დასჭირდათ – თუ ადრე ათეისტობდნენ (ასე სჭირდებოდა პარტიას), ახლა ღრმადმორწმუნენი გახდნენ და ა.შ. და რა მოხდა შემდეგ? შევარდნაძის ჩამოყვანა ქვეყნის აყვავების იმედით. 1992 წლის არჩევნებზე 24-მა პარტიამ გადალახა ბარიერი და რა მივიღეთ – ცირკი, რომელსაც სახელად „პარლამენტი“ ერქვა. დავკარგეთ აფხაზეთი და ამას სულ არ შეუშლია ხელი იმაში, რომ 1995 წელს, დიდი ტრამპა-ცუმპით, აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე. 1992 წელს ჩამოვიდა – ქვეყანას აგვიყვავებსო, 1995 წელს გასული იყო სრული სამი წელიწადი – არათუ აყვავება, კვირტიც კი არსად ჩანდა და მაინც აირჩიეს – ვაცადოთო. მუხლისჩოქა კი არ დაუდგნენ, არ ევედრნენ – ნუ წახვალ, შენი კვნესა-მეო?! კარგი, მაშინ იმედი ჰქონდათ, რომ დაუბრუნებდა აფხაზეთს, მაგრამ 1995-დან 2000-მდე ვერ დაინახეს, რომ არც აფხაზეთი დააბრუნა და არც ქვეყანა ააყვავა? 1995 წელს 1 589 909-მა ადამიანმა მისცა ხმა, 2000 წელს – 1 870 311-მა. 280 ათას კაცს პირიქით იმედი გასჩენია. „მალადეეც!“

ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა 2 565 362-მა ადამიანმა, ედუარდ შევარდნაძეს – 1 589 909-მა ადამიანმა. მილიონიანი სხვაობა სახეზეა, მაგრამ მილიონნახევარმა რა თვისებების გამო მისცა ან ზვიადს, ან შევარდნაძეს ხმა? რა საერთო თვისება იპოვა ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ ლიდერში? როიალზე შევარდნაძე არ უკრავდა, დისიდენტური წასული არ ჰქონდა, კომუნისტი იყო, კოლხურ კოშკში კი არა, მამათში გაატარა ბალღობა — კლასიკოსის ვაჟი ის არ იყო, არც დიდი განათლებით გამოირჩეოდა – უბედურებას „უბედურობას“ ეძახდა, გაერო-ს „გეეროს“, არც ზვიადის გარეგნობა ჰქონდა – თუ ამ გარეგნობით ურევდა თავგზას მასებს ზვიადი. კარგი, ქალებს თავგზას უბნევს ეს ლიბიდო – ხან ზვიადს აწონებს, ხან ედუარდს, ხან მათგან კიდევ უფრო განსხვავებულ მიხეილ სააკაშვილს, ხანაც ვაკელ ლევან გაჩეჩილაძეს და ხანაც ბიძინა ივანიშვილს. კარგი, ქალებს ფროიდი არ ასვენებს და კაცებს ვინღა არ ასვენებს – კარლ გუსტავ იუნგი?

ცალკე თემაა, მასებზე მანიპულირება, ათასგვარი საარჩევნო ტექნოლოგია, ხრიკები და გაყალბების მეთოდები, მაგრამ რაღაც ახსნა ხომ უნდა მოუძებნოს თავად ადამიანმა თავის საქციელს, როცა ურნასთან მარტო რჩება? თუ ურნა ურნაა და ქართველი ურნასთან დგება და ხმას ნაგავივით იშორებს? რა ნიშნით ვიწონებთ ან ვიწუნებთ? საარჩევნო პროგრამები, ბუკლეტები რომ სულ ტყუილად იბეჭდება და მათ არავინ კითხულობს, ხომ ფაქტია, საარჩევნო დაპირებებს ვუსმენთ ზეპირად? იმ დაპირებების შესრულებას ვაკონტროლებთ მერე? ან შესრულებას ვუფასებთ ვინმეს, ან არშესრულებისთვის ვთხოვთ პასუხს? ხმას ხან ერთ „მეშოკ“ ფქვილზე ვცვლიდით, ხან იმაზე, თუ ვინ დაგვპირდებოდა ჩვენ ქუჩაზე ასფალტის დაგებას. რა გვამოძრავებდა? ლოგიკა „ყვავს კაკალი გააგდებინე“? – არც უამისობაა, მაგრამ აქაც აცა-ბაცად მივუყვებით გზას – იმას, ვინც მთელი ქვეყანა მოაასფალტა, ტვინი ამოვჭამეთ – ასფალტი ვჭამოთო და სხვა ავირჩიეთ!

და მაინც? რა გვამოძრავებს, რა არის ამოსავალი წერტილი? — პოლიტიკოსის საგარეო ორიენტაცია, ეს გადაწონის ხოლმე სხვა ყველაფერს? რიგ, ინდივიდუალურ შემთხვევებში იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ეს რომ ტენდენცია არაა, ეგეც ფაქტია. მოკლე მეხსიერების ერი ვართ და იმ პერიოდში რაც ხდება, ის ახდენს გავლენას, როგორც ეს ციხის კადრების დროს მოხდა? კი, მაგრამ 7 ნოემბრის მერე არ იყო, რომ 53-მა%-მა მისცა ხმა სააკაშვილს? მით უმეტეს, ყველა რადიკალური ნაბიჯი, რასაც სააკაშვილის ხელისუფლებას უკიჟინებდნენ, სწორედ 2008 წლამდე იყო? მაგ არჩევნებზე არ იყო, 25%-მა რომ ხმა მისცა ლევან გაჩეჩილაძეს? რა მოტივით? — გაჩეჩილაძემდე ქვეყანას სამი პრეზიდენტი ჰყავდა – სამივე მაღალი რანგის პოლიტიკოსი, ცხადია, სხვადასხვა ტიპის, მაგრამ რა ტიპის იყო ლევან გაჩეჩილაძე? არხეინი თბილისელი, წარმოსადეგი კაცი, როგორც იტყვიან, ნაღდი ქალაქელი. კი, მაგრამ უსტაბაშს ირჩევდით თუ ქვეყნის პრეზიდენტს? ან შალვას რა ნიშნით აძლევდა ხალხი ხმას? და ბოლოს, ბიძინას რა ნიშნითაც მისცეს, გავიგეთ – წამყვანი მისი მილიარდები იყო, თუმცა სრულიად გაუგებარია, ბიძინას ფული აქვს, თქვენ რა? ერთი ანეკდოტი მახსენდება, მოლას ეუბნებიან, მოლა, მოლა, მოხარშული ინდაური მოაქვთო. მერე მე რაო. თქვენთან მოაქვთო და მერე შენ რაო?!

ბიძინას „ოცნებას“ ხმა მისცეს კიდევ ერთი მომენტის გამო – მიშას ზიზღით, ოღონდ მიშა მოეშორებინათ — მიშას ჯიბრით. საერთოდ, შურისძიების მოტივი ყოველთვის წამყვანი იყო ქართულ პოლიტიკაში, არჩევნებზე. ოღონდ კომუნისტები მოგვეშორებინა, ყველამ ხმა „მრგვალებს“ მისცა, ოღონდ ზვიადი მოგვეშორებინა – ყველა სხვას, ოღონდ შევარდნაძე მოგვეშორებინა – სააკაშვილს, ოღონდ სააკაშვილი მოგვეშორებინა – ივანიშვილს.

მოკლედ, ხმას ვიძლევით ჯინაზე, ჯიბრზე, ხმას ვიშორებთ თავიდან, ვაგდებთ როგორც ნაგავი ან ვარიგებთ ანგარიშმიუცემლად – როგორც სლავი ქალი ერთ ადგილს. არ მკითხოთ, რომელს — კომბოსტოს!

ლევან ღვინიაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ მალავს, რომ თავის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად გულწრფელობა მიაჩნია და, მართლაც, ქართული თუ ზოგადად, პოლიტიკისთვის უცხო გულწრფელობით მას არაერთხელ გაუოცებია როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები თუ უმაღლესი თანამდებობის პირები.

„როცა ვამბობ, რომ რაღაც არის კარგად, ესე იგი, მართლა კარგად არის და თუ რაღაც არ მომწონს, ამის შესახებაც ხმამაღლა ვლაპარაკობ. ილუზიებში ცხოვრება უნდა დასრულდეს და ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს“, — ხშირად აცხადებს ბატონი ბიძინა და ასევე ხშირად მწარე, მაგრამ მაინც სიმართლეში გვიწევს ცხოვრება.

შესაბამისად, ისიც საინტერესოა, როცა ივანიშვილი მინისტრთა კაბინეტის წევრებს ახასიათებს.

„არსებობენ კარგი და ძალიან კარგი მინისტრები. ყველა ერთნაირი ვერ იქნება და არც ის იქნება სამართლიანი, ახლა დავიწყო საუბარი იმაზე, ვისი მუშაობითაც კმაყოფილი ვარ და ვისთანაც შენიშვნები და კითხვები მაქვს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არის ძალიან კარგი მინისტრი, ძალიან კარგია ირაკლი ალასანიაც“, — ეს სიტყვები პრემიერმა რამდენიმე კვირის წინ თქვა,

რა ცდუნების წინაშე დგას ირაკლი ალასანია

თუმცა მას შემდეგ რაღაც აშკარად შეიცვალა. შეიცვალა თუნდაც იმიტომ, რომ კულუარებში არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ თავდაცვის მინისტრი აშკარად უკმაყოფილოა, რომ კოალიციამ საპრეზიდენტო კანდიდატად ის არ დაასახელა და ეს „უკმაყოფილება“, თავის დროზე, ვიცე-პრემიერის პისტის დაკარგვადაც დაუჯდა. ალასანიამ საკუთარი პარტიის შიგნით იმსჯელა ამ საკითხზე და ეს მაშინ, როცა კოალიციის ლიდერს დაანონსებული ჰქონდა, საპრეზიდენტო კანდიდატი ერთად განვიხილოთო.

„ალასანიას პატარა შეცდომა მოუვიდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატზე მსჯელობა თავის გუნდში, პრემიერ-მინისტრთან შეუთანხმებლად დაიწყო“, — თქვა მაშინ ივანიშვილმა და კონფლიქტიც ამით თითქოს ამოიწურა, მაგრამ მალე ისიც ითქვა, ალასანიას ნაციონალური მოძრაობის წევრები თავისკენ ექაჩებიანო. რამდენად რეალურია, რომ თავდაცვის მინისტრი დამარცხებულ პარტიასთან მოლაპარაკებებს მართავდეს, თავად განსაჯეთ, თუმცა მოარული ამბავი იმდენად გაიბერა, რომ პრემიერის ყურამდე მიაღწია.

„აქვთ მცდელობა, ალასანია გადაიბირონ, ჭორები დადის, რომ ამათ აქვთ კავშირი და კომუნიკაცია ალასანიასთან. ამის შესახებ თავად ირაკლის ვკითხე და მან უარყო ასეთი კომუნიკაციის არსებობა ყოფილ მთავრობასთან. ცდილობენ, გუნდი გახლიჩონ, მაგრამ სანამ პოლიტიკაში ვარ, ვინც არ უნდა გადახტეს და საითაც არ უნდა გადახტეს, არაფერი მოხდება, საკუთარ თავს დაიზიანებენ მხოლოდ. გარწმუნებთ, აბსოლუტურად დალაგებულ გუნდს დავტოვებ და ვინც გადახტება, საკუთარ კისერს მოიტეხს მხოლოდ“, — აცხადებს ივანიშვილი.

ყველაფრის მიუხედავად, რაღაც აშკარად რომ ხდება და რაღაც რომ შეიცვალა, ცხადია. ფაქტია, ივანიშვილმა მორიგ გამოსვლაში ალასანიაზე უკვე სხვა ტონალობაში ისაუბრა. ერთი შეხედვით, თითქოს მისი დამოკიდებულება არ შეცვლილა, მაგრამ... **„მინისტრთა კაბინეტის მუშაობით კმაყოფილი ვარ. როგორც ადრე აღვნიშნე, არიან მეტ-ნაკლებად, კარგი და ძალიან კარგი მინისტრები, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. ყველას გვარს ნუ ჩამომათვლევინებთ, მაგალითად გეტყვით, რომ ირაკლი ალასანია კარგი მინისტრია“,** — განაცხადა ივანიშვილმა და ცხადი გახდა, რომ „ძალიან კარგი მინისტრობიდან“ თავდაცვის პირველი პირი „კარგ მინისტრობამდე“ „ჩამოქვეითდა“.

ახლა ძნელია იმის თქმა, რა მოხდა რეალურად, მაგრამ კულუარებში ამბობენ, რომ კოალიციის ბევრი ლიდერი უკვე პოსტივანიშვილისეული პერიოდისთვის ემზადება. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბევრი ცდუნებას ვერ უძლებს. დგას თუ არა რაიმე ცდუნების წინაშე ალასანია, მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კოალიციის ნავიდან გადახტომის მსურველებს, ჯერჯერობით, მოლივლივე ზღვა არ ელოდებათ.

ნოემბრის ბოლოს სანდრა რულოვსის რადიო „მუზა“ დაიხურება?!

რატომ შევიდა „მუზას“ საქმე „სამართლებრივ ჩიხში“ და ეწირება თუ არა აპოლიტიკური რადიო პოლიტიკურ ინტერესებს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„მუზა“ დახურვის პირასაა. რას ველოდებით, გადაწყვეტილებას დღემდე არ იღებენ. მივიდეთ კულტურის სამინისტროსთან მოთხოვნით — არ მოკლათ „მუზა“! — ამ პათოსის სატალეფონო ზარები რადიო „მუზას“ ოფისში არ წყდება. მელომანები პირდაპირ ეთერშიც რადიკალურები არიან და მოითხოვენ — სანამ მედიასივრციდან გაქრება საქართველოში ერთადერთი არაკომერციული და ამიერკავკასიაში ერთადერთი, სრულად კლასიკურ მუსიკაზე ორიენტირებული რადიო, ყველანი დავირაზმოთ მის გადასარჩენად. რადიოს ხელმძღვანელები კი ოდიშარიას უწყების გადაწყვეტილებას ელოდებიან. კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ ვითარება სამართლებრივ ჩიხშია.

„მუზას“ გარშემო ვითარება მაშინ დაიძაბა, როცა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. 2007 წელს, საქართველოს პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის მიერ დაარსებულ რადიოს შექმნის დღიდან სწორედ საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებდა. რადიოს გენერალური მენეჯერი **შორენა კოპალეიშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ დაფინანსების საკითხი ყოველთვის გამჭვირვალე იყო: **„5 წლის განმავლობაში, რადიოს „ქართუ“ აფინანსებდა. პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ, ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა მიუხედავად იმისა, რომ პირველი ლედის მიერ დაარსებული რადიო სრულიად აპოლიტიკურია, მის ეთერში არასოდეს გასულა პოლიტიკური რეკლამა, მოწოდება, გადაცემა თუ თოქ-შოუ. „მუზა“ ემსახურებოდა მხოლოდ კულტურის პროპაგანდას!“**

2012 წლიდან „ქართუს“ დაფინანსება რადიოს აღარ აქვს. მაუწყებლის ხელმძღვანელები კი ინვესტორის ძებნას იწყებენ. **„მივმართეთ რამდენიმე ფონდს, მეგობარს... მათ გარკვეული დახმარება გაგვიწიეს, მაგრამ რადიოს გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა არაა მარტივი, მით უმეტეს, აქ ნაკლებია კომერციული ინტერესი. ყველა გვეკითხებოდა, რატომ ეძებთ ინვესტორს, ქვეყნის პრესტიჟი არაა, ამ ფორმატის რადიო არსებობდეს, მიმართეთ მთავრობასო“.**

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მედიასაშუალებები, რომელთა ეთერშიც კლასიკური მუსიკა ჟღერს. ქართული კანონმდებლობა კრძალავს, სამინისტროს ლიცენზია ჰქონდეს მაუწყებელზე, თუმცა გურამ ოდიშარიამ, სანდრა რულოვსთან ერთად, 2013 წლის 27 მაისს ჯერ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის თანახმად, „მუზა“ სამინისტროს უნდა გადასცემოდა, 4 თვის შემდეგ კი, აღმოაჩინა, რომ თურმე ამის უფლება არ ჰქონდა (?!). მემორანდუმის თანახმად, კლასიკური, ქართული, ტრადიციული და სასულიერო მუსიკის განვითარებაში „მუზას“ მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამოთქვეს მზადყოფნა, ურთიერთთანამშრომლობით ხელი შეუწყონ რადიოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებას და ფუნქციონირებას. მემორანდუმში, რომელსაც ხელს კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციის დამფუძნებელი სანდრა რულოვსი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია აწერენ, გარკვევით წერია, რომ სსიპ-ის ჩამოყალიბების შემდეგ, ასოციაციის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ-ტენიკურ საშუალებებს, ასოციაცია საკუთრებაში გადასცემდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. **„მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ყველანი ვიყავით ბედნიერები. მნიშვნელოვანი იყო, რომ რადიო გადაეცემოდა სახელმწიფოს და არა რომელიმე კერძო პირს ან სტრუქტურას, რაც უფრო დიდ მნიშვნელობას შესძენდა მას“,** — აცხადებს შორენა კოპალეიშვილი.

სამართლებრივ ჩიხში ვითარება სწორედ ამ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ შევიდა. რამდენიმე თვეში ოდიშარიამ აღმოაჩინა, რომ მის უწყებას მაუწყებლის მესვეურობის უფლებას კანონი არ აძლევდა. **„როცა ეს აღმოაჩინეს, გამოიძებნა პრობლემის მოგვარების კანონიერი გზა — კულტურის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივა უნდა მოემზადებინა, რომლის თანახმად, მას გამონაკლისის სახით მიეცემოდა არაკომერციული, მხოლოდ კულტურის პროპაგანდაზე ორიენტირებული მედიასაშუალების ფლობის უფლება. ამაზე თანხმობა გასცა იუსტიციის სამინისტრომ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ... შეფერხება იყო ეკონომიკის სამინისტროსგან, როგორც კულტურის მინისტრის მოადგილე მარგიშვილმა განმიმარტა, ამის მიზეზი ისაა, რომ 2015 წელს იგეგმება გარკვეული ცვლილებები მაუწყებლის შესახებ კანონში და მედიასაშუალებები HD ფორმატზე გადადიან, მაგრამ რა შუაშია აქ რადიო, გაუგებარია. საბოლოოდ, 4 თვის შემდეგ მაცნობეს, რომ ვერაფერს აკეთებენ, რადგან სამართლებრივ ჩიხში ვართ“,** — აცხადებს შორენა კოპალეიშვილი და გვიმხელს, რომ სამინისტროში მისთვის არავის დაუკონკრეტებია, ვინ უნდა იზრუნოს ვითარების ჩიხიდან გამოყვანაზე. ამის შემდეგ, კოპალეიშვილმა არაერთი წერილი გაგზავნა სამინისტროში ერთადერთი კითხვით, მოიხსნა თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით ოდიშარიას უწყების პასუხისმგებლობა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. კოპალეიშვილმა ოფიციალური წერილით მიმართა ბიძინა ივანიშვილსაც, მაგრამ ეს წერილიც ოდიშარიასთან გადაამისამართეს. ამასობაში, რადიოს დანაზოგი გაიხარჯა, თემატური გადაცემების უმრავლესობა დაიხურა, 18 თანამშრომლიდან 13 გაათავისუფლეს, ეთერის უმეტესი ნაწილი ე.წ. ნონსტოპმა დაიკავა... „მუზას“ სახეცვლილება არ გამოეპარა მის ერთგულ მსმენელს. რადიოს გადარჩენის მიზნით კამპანია დაიწყო, რის შემდეგაც, კოპალეიშვილს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი დაუკავშირდა, „მუზას“ საკითხი ისევ განიხილება სამინისტროში და გადაწყვეტილებას მალე მოგახსენებთო. **„პირველი, ვინც ოპერატიულად გამოვიდა კონტაქტზე, მანანა ბერიკაშვილი იყო. მითხრა, რომ ამ საკითხზე მსჯელობენ და დადებითად გადაწყვეტენ“,** — შორენა კოპალეიშვილი იმედოვნებს, რომ ქალბატონი მანანას დაპირება დაპირებად არ დარჩება, მაგრამ სანამ სამინისტროში მსჯელობენ, რადიო მედიასივრციდან ქრება. შორენა კოპალეიშვილი გამოგვიტყდა, რომ კრიზისული ერთი წლის შემდეგ ყველა რესურსი ამოიწურა: **„2013 წელს 5 წლის დანაზოგით ვიარსებეთ, ფაქტობრივად, დაგვრჩა 2 თვის რესურსი — მაქსიმუმ, ნოემბრის ბოლომდე შევძლოთ ფუნქციონირება. ამის შემდეგ, იძულებულები ვიქნებით, გავთიშოთ სიგნალი“.** „მუზას“ ჩანაწერების კოორდინატორი **თეა მუძერია** ამბობს, რომ რადიოს გადარჩენა მხოლოდ სიხშირის შენარჩუნებასა და მუსიკის გაშვებას არ ნიშნავს: **„მთავარია, შეინარჩუნო ფორმატი და გუნდი, ვინც „მუზა“ შექმნა. ამ ადამიანებმა საარსებო წყარო დაკარგეს. პრობლემის მოგვარება დროში თუ გაიწელა, შეიძლება ძველი გუნდის დაბრუნებაც გართულდეს და ახალი კადრების მოყვანაც, რადგან ასეთი სპეციფიკური გადაცემების წამყვანი ჟურნალისტი საქართველოში ძალიან ცოტაა“.**

პროგრამების მენეჯერის ასისტენტი **ტატო ჯინჯიხაძე** კი იმ მაღალი ხარისხის აპარატურისა და უკვე შექმნილი „ოქროს ფონდის“ გაურკვეველ მომავალზე წუხს, რომელიც „მუზას“ საკუთრებაშია: **„მხოლოდ რადიო „მუზას“ აქვს აპარატურა, რომელსაც შეუძლია, კლასიკური მუსიკის კონცერტების ჩაწერა მაღალი ხარისხით. ტელევიზიებში კონცერტების ტრანსლირებას ხმად „მუზას“ ჩანაწერი ედება. „მეცომ“ პირველი და ერთადერთი პროექტი საქართველოში სწორედ „მუზას“ ტექნიკურ აღჭურვილობასა და ბაზაზე დაყრდნობით განახორციელა. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, სამინისტროს მოთხოვნა იყო, რეგიონები არ გაგვეთიშა და კონცერტების ჩაწერა არ შეგვეწყვიტა. ხვდებიან, რომ ეს ჩანაწერები გადაეცემა თაობებს, რომლებსაც წლების შემდეგ წარმოდგენა ექნებათ, რა ხდებოდა 21-ე საუკუნის საქართველოში ამ სფეროში. „მუზა“ რადიო კი არა, კულტურული ჟურნალისტიკის დარგია, დაუშვებელია, გაქრეს და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ“.**

საინტერესოა, „ყველაფრის გაკეთებაში“ იგულისხმება თუ არა სანდრა რულოვსის განზე გადგომა და „მუზას“ „ორბიტიდან“ გასვლა? შორენა კოპალეიშვილი „ვერსიას“ გამოუტყდა, რომ საქართველოს პირველი ლედი მზად იყო გამდგარიყო გვერდით, იურიდიულ დოკუმენტებშიც კი აღარ დაფიქსირებულიყო, შეეწყვიტა საავტორო გადაცემები, ოღონდ „მუზა“ გადაერჩინა. ამ ფონზე, რადიოს გენერალური მენეჯერი მიიჩნევს, რომ „მუზა“ ჩიხში პოლიტიკური მოტივით ან სანდრა რულოვსის ფაქტორის კი არა, იმის გამო შევიდა, რომ მისი მნიშვნელობა კარგად ვერ დაიფასეს...

არ არის გამორიცხული, ყველაფერი პოლიტიკურ თამაშებს უკავშირდებოდეს და ივანიშვილის ხელისუფლებას სააკაშვილის მეუღლის რადიო ყელში ფხასავით გასჩხეროდა, თუმცა თუ ახალ მთავრობას ამ რადიოს არსებობა არ აწყობდა, საერთოდ რატომ გაფორმდა მემორანდუმი? საბოლოოდ კი, ყველაფერი მაინც პოლიტიკურ ნებამდე მიდის — ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული ან არის „მუზას“ ფორმატის რადიოს არსებობა, ან არა. ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, „ვერსია“ კულტურის სამინისტროს დაუკავშირდა. მინისტრის მოადგილემ **ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ** განგვიმარტა, რომ საკითხი გადაწყვეტილი არ არის და, იმედია, დადებითად გადაწყდება: **„კანონში მაუწყებლობის შესახებ წერია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება, ჰქონდეს ლიცენზია მაუწყებელზე. არადა, ჩვენი სურვილი იყო, „მუზა“ ყოფილიყო სსიპ-ი. დავავალეთ ჩვენს იურიდიულ სამსახურს და გვინდა ცვლილება შევიტანოთ კანონში... საკანონმდებლო ინიციატივა შემუშავების პროცესშია და დანარჩენი უკვე დროის ამბავია. ვერ გეტყვით, რომ ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილება იქნება დადებითი, რადგან ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა ჯერ პარლამენტმა უნდა განიხილოს. იყო გარკვეული უთანხმოება ინიციატივის შემუშავების პროცესშიც. მთავარია, ყველაფერზე შევჯერდეთ.**

დასასრული მე-8 გვერდზე

ვერსიანიუსი

აძვსა და ჯარიაშენს შორის გავლებული მავთულხლართები შსს-მ 16 სექტემბერს გააპროტესტა!

8 ოქტომბერს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას გორის რაიონის სოფელ აძვსა და ჯარიაშენს შორის გავლებული ახალი მავთულხლართების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს. გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, **„8 ოქტომბერს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და ღობეების მონტაჟის პროცესის გაგრძელებას შსს არ ადასტურებს. შსს ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას გორის რაიონის სოფელ აძვსა და სოფელ ჯარიაშენს შორის გავლებული მავთულხლართების არსებობის შესახებ და აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით 37-ე შეხვედრაზე ქართულმა მხარემ მკაცრად გააპროტესტა“.**

„ვერსიანიუსი“

ყოველდღიური
ყოფითი
წვრილმანები
წყდება
ინდივიდუალურად

მნიშვნელოვანი
საკითხები
წყდება
ურთიერთთანხმობით

სამართლიანობის
საკითხი
წყდება ერთხმად

ხელისუფლების
საკითხი კი წყდება
მხოლოდ
საყოველთაო
დემოკრატიული
არჩევნების გზით

დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია

www.cesko.ge

„არავის ჰქონდეს ილუზია, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკიდან წავა, პირიქით, მისი ლიდერობით, ხელისუფლებაში დავბრუნდებით!“

ექსკლუზიური ინტერვიუ გოგა ხაჩიძესთან

ერუსუდან შელია
557-100-768

„ქართული ოცნების“ ერთწლიან მმართველობას კატასტროფულს უწოდებს, ნაციონალურ მოძრაობას კი საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ ერთიან პოლიტიკურ ძალად მიიჩნევს და ამბობს, რომ ხელისუფლებაში უახლოეს მომავალში დაბრუნდებიან. რას ელოდება კოჰაბიტაციის დასრულების შემთხვევაში და რატომ არ სჯერა ბიძინა ივანიშვილის მიერ განვითარებული სამოქალაქო სექტორის, „ვერსიას“ გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე ესაუბრა.

— ქვეყანაში ყველა მიმართულებით კატასტროფულად ცუდი მაჩვენებელი ფიქსირდება. როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად თუ სოციალურად, სრულ სტაგნაციაში ვიმყოფებით. ამ ერთი წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ აბსოლუტურად ყველა შეცდომის დაშვება მოასწრო, რასაც ჩვენ ცხრა წელი მოვანდომეთ. რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურად განადგურება ვერ მოახერხა, რაც მხოლოდ პარტიის დამსახურება არ არის — ეს ქართული დემოკრატიის მიღწევაა.

— გამოდის, აღიარებთ, რომ კოალიციის მმართველობის პირობებში, ქვეყანა დემოკრატიულად ვითარდება, რაც ცხრა წლის განმავლობაში თქვენი ოპონენტების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო, განსაკუთრებით, 7 ნოემბრისა და 26 მაისის შემდეგ?

— არა, დავაზუსტებ — ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა მხოლოდ ქართული საზოგადოების დამსახურებაა, რადგან მოქალაქეებს ესმით, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ყოფნა დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია. კლასიკური გაგებით, ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს და უცნაური შუშის სასახლიდან მთავრობის მართვას აპირებს. მას მიაჩნია, რომ კოალიციაში შემავალი პარტიების საშუალებით, რომლებსაც ხან ფულით, ხანაც სხვა მეთოდებით აკონტროლებს, სახელმწიფოს მართვას მარტივად შეძლებს. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სრულად ვერ აკონტროლებს, ნაციონალური მოძრაობაა, ამიტომაც ქვეყნის დღევანდელ პირებს ჩვენი პოლიტიკიდან განდევნა სურთ.

— თქვენი ბრალდებები უსაფუძვლოდ ჟღერს, თუ დავით უსუფაშვილის სიტყვებს გავიხსენებთ: „ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანაა“. საზოგადოების განწყობის მიუხედავად, მსგავს დამოკიდებულებას პრემიერი ხშირად საჯაროდ აფიქსირებს.

— ეს მხოლოდ სიტყვებია, რეალურად კი, ხელისუფლების მხრიდან საპირისპირო ქმედებებს ვუყურებთ. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა თვალსაჩინო იყო — დაკავებებისა და დაჭერების სერიებიც ვნახეთ, ჩემს სახლშიც კი ეძებდნენ რაღაცას, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვეს. ყველაფერს გავუძელით, მათ შორის, თანაგუნდელების ღალატსაც — ჩვენ ისევ ერთი გუნდი ვართ და ერთმანეთთან საერთო ღირებულებები გვაკავშირებს. ასე რომ, ქვეყნის მართვაში მონაწილეობას აბსოლუტურად კორექტულად, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით მივიღებთ.

— ხელისუფლება დაპირებების შეუსრულებლობის არგუმენტად ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციას ასახელებს, 27 ოქტომბერს კი ამ პროცესის დასრულებას აანონსებს. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პარტიაში რა მოლოდინი გაქვთ?

— გასაგებია, გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო ლოზუნგად კოჰაბიტაციის დასრულება აირჩია, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერც კი ხვდებიან, რომ სწორედ კოჰაბიტაციის დამთავრების შემდეგ წავა „ქართული ოცნების“ საქმე უფრო და უფრო უარესად. ხელისუფლება კოჰაბიტაციისა და ნაციონალური მოძრაობის ფაქტორი რომ არა, სისულელეების კასკადს ბევრად მასშტაბურად შემოგვთავაზებდა. ჯერჯერობით, კოალიციის ლიდერები სისულელეების მხოლოდ მცირე ნაწილს გვთავაზობენ. მარტივ კითხვას ვსვამ: საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რა პოზიტიური შედეგები გვაქვს ეკონომიკური მიმართულებით? ქვეყანას, რომელიც 8-9%-იან ეკონომიკურ ზრდას გეგმავდა, 0,0%-იანი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტში გარღვევაა, პოლიტიკურად ქვეყანა გახლეჩილია... ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, მან არ იცის, რა მექანიზმებით უნდა მართოს ქვეყანა. უბრალოდ, წლების წინ, მას გაუმართლა და 90-იანი წლების რუსეთში რვა მილიარდის შოვნა კარგად გამოუვიდა. ახლა კი, როცა ქვეყანა კრიზისის ზღვარზეა, ადამიანი, რომლის გამოც ნაციონალები არჩევნებში დავმარცხდით, პოლიტიკიდან მიდის და ხალხიც გაურკვევლობაშია.

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ საზოგადოება მისი პირველივე განცხადებიდან ინფორმირებული იყო. რა არის ცუდი იმაში, თუ პრემიერს მესიად ყოფნისა და მასზე დამოკიდებული მთავრობის ყოლის სურვილი არ აქვს, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილის დროს ხდებოდა?

— ბიძინა ივანიშვილის გამოკლებით, კოალიციაში შემავალი პარტიების რეიტინგი არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგაც მხოლოდ 5-6% იყო. დღესაც ასეა... საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის ფულს ენდო, მაგრამ რა განმარტებაც არ უნდა შემოგვთავაზოს და მისი გადაწყვეტილება როგორც უნდა შეფუთოს, ფაქტია, პრემიერი პასუხისმგებლობას გაურბის. წარმოიდგინეთ, 2004 წელს, მიხეილ სააკაშვილს რომ ეთქვა, ქვეყანას შევარდნაძე ხომ მოვაშორე, ახლა მეც სამოქალაქო სექტორში გადავალ და სანაცვლოდ, კარგ გუნდს გიტოვებთო, უპასუხისმგებლობა არ იქნებოდა?! ბიძინა ივანიშვილის გეგმა მარტივი გასაშიფრია, როგორც 90-იანი წლების რუსეთში, პოლიტიკას ოლიგარქები მართავდნენ, ასეთივე პრაქტიკა საქართველოშიც დაამკვიდროს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ესმის, რომ საქართველოში ეს მიდგომა არ გამოუვა.

— მისი განმარტებით, პოლიტიკიდან მიდის, მაგრამ პროცესებში სამოქალაქო სექტორიდან ჩაერთვება და მთავრობას საზოგადოებასთან ერთად გააკონტროლებს.

— ბიძინა ივანიშვილმა სამოქალაქო სექტორი რა მექანიზმით უნდა განავითაროს?! მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ყველა მისი შეხვედრა ექსპერტებთან და მედიასთან მხოლოდ სიცილის მომგვრელია. ადამიანს პრობლემა აქვს ყველასთან, ვინც მის აზრებს ცალსახად და პროტესტის გარეშე არ იზიარებს. ასეთი ადამიანი ვის განავითარებს? პრემიერი გარეთ გასვლასა და ხალხთან შეხვედრასაც კი ერიდება. მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ კოლბის სამოქალაქო სექტორის განვითარებას შეძლებს და დიდი არაფერი გამოუვა. იმედი მაქვს, პროცესი დემოკრატიის ფარგლებში გაგრძელდება, მაგრამ ცოტა არ იყოს, ეჭვი მეპარება. ჩემი პროგნოზით, 2014 დიდი პოლიტიკური ქაოსის წელი იქნება. წარმოიდგინეთ, ეს მთავრობა ბიძინა ივანიშვილთან ერთადაა უკომპასო მდგომარეობაში და მის გარეშე საერთოდ რა იქნება? აბსოლუტური დეზორიენტაცია! კაცმა არ იცის, კოალიციაში ვინ რას მოისურვებს და გააკეთებს. მმართველი გუნდი კომპასის გარეშე დარჩენილ გემს დაემსგავსება, რომელიც გზას ვერც ვარსკვლავების დახმარებით გაიგნებს.

— 19 აპრილს ახალ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობდით, თუმცა ამ მიმართულებით პოლიტიკურ განცხადებებს აღარ აკეთებთ. რამდენიმე დღის წინ პარტიის ყრილობაზე საზოგადოებას ახალი, გულებიანი დროშა წარუდგინეთ. თქვენს პარტიას თუ აქვს პოლიტიკური გზა ჩამოყალიბებული?

— ნაციონალური მოძრაობა ერთიანი პარტიაა, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან საერთო ღირებულებები აკავშირებს. კარგია, რომ ჩვენგან ბევრი „ოცნებაში“ გადახტა ან საერთოდ, უგზოუკვლოდ დაიკარგა. თვითწმენდისა და ფილტრაციის პროცესმა პარტია გააძლიერა. ახლა ახალგაზრდების და ახალი სახეების დროა.

— პარტიის თავმჯდომარედ ხელახლა არჩეული მიხეილ სააკაშვილია ახალი სახე თუ პოლიტსაბჭოს ხელმძღვანელი დავით ბაქრაძე?

— ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც ქვეყნისა და საქმისთვის საჭიროა. მიხეილ სააკაშვილი დღეს პარტიისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ასე რომ, არავის ჰქონდეს ილუზია, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, ის პოლიტიკიდან წავა. პირიქით, მისი ლიდერობით, უახლოეს მომავალში, ჩვენ ხელისუფლებაში დავბრუნდებით.

ბიძინა ივანიშვილი: „იმედის“ სანაცვლოდ, ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს 400 მილიონი გადაუხადა

საქართველოს ხელისუფლებამ, პატარკაციშვილების ოჯახს, ტელეკომპანია „იმედის“ დათმობის სანაცვლოდ, 400 მილიონამდე გადაუხადა, — ამბობს ბიძინა ივანიშვილი „გურია NEWS“-თან საუბრისას. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებასა და პატარკაციშვილების ოჯახს შორის გაფორმებულ შეთანხმებას გრიფი „საიდუმლო“ ადევს. **„მაგრამ რამდენად ეს შესატყვისობაშია და რამდენად ეს სწორი შეფასებაა, ცალკე საანალიზოა. პირადად მე, მხოლოდ მოხსენება წავიკითხე იუსტიციის მინისტრის და კიდევ რამდენიმე რეპლიკა მაქვს პროკურატურიდან, რომ ეს მასალები პროკურატურაშია და დიდი ხანია იკვლევენ და იძიებენ“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, შოკისმომგვრელია, როცა მსგავს შეთანხმებებს სახელმწიფო მოხელეები აწერენ ხელს და გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ივანიშვილი დასძენს, რომ აღნიშნულ საკითხს საქართველოს პროკურატურა სწავლობს.

„ტელეიმედის“ საქმის გრიფი „საიდუმლო“ სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და მთავრობის კანცელარიას 12 სექტემბერს მიმართა. მთავრობის კანცელარიამ საია-ს 19 სექტემბერს მიწერა, რომ მათი წერილი იუსტიციის სამინისტროშია გადაგზავნილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო უწყებები ვალდებულები არიან, მათ უწყებაში მისული განცხადება თუ აღემატება მათ უფლებამოსილებას, გადაუგზავნონ შესაბამის უწყებებს.

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მიხედვით, განსაზღვრულია, რა ტიპის ინფორმაცია რა ვადით შეიძლება იყოს საიდუმლო ინფორმაციად მიჩნეული. ინფორმაცია საიდუმლოდ შეიძლება მიჩნეული იყოს 3-დან არაუმეტეს 20 წლისა. კანონით დადგენილი ვადებით, სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც ეს უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული, ვალდებულები არიან გადაამოწმონ, ხომ არ დაიკარგა ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი.

„მედია.გე“

ნატო-ს შემფასებელთა მისია საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტს განიხილავს

საქართველოში ნატო-ს შემფასებელთა მისია იმყოფება, რომელიც ორი დღის განმავლობაში წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტს განიხილავს. შეხვედრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიმდინარეობს.

საქართველომ შეიმუშავა 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც ნატო-ში ერთი კვირის წინ გაიგზავნა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებას კოორდინაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გაუწია. დოკუმენტში ასახულია 2013 წლის წლიურ ეროვნულ პროგრამაში გაწერილი ამოცანების შესრულების მდგომარეობა. შეხვედრას ესწრებიან პარლამენტის წევრები და ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნული პროგრამის შემუშავებაშია ჩართული.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენელმა, კრისტიან მესზაროსიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ისინი ჩამოვიდნენ, რომ 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება შეაფასონ. მისივე თქმით, ეს არის რეფორმები, რომელიც მთავრობამ ამ კონკრეტული ერთი წლისთვის დაისახა. ნატო-ს შემფასებელთა მისიის წარმომადგენლები ამის საფუძველზე შეფასებას გააკეთებენ და შესაბამის ინფორმაციას ნატო-ს წევრ ქვეყნებს მიაწვდიან.

„ინტერპრესნიუსი“

ლუდი „მთიელის“ ახალი კლიპის პრემიერა „შავფაროსნების“ მონაწილეობით

ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში, ლუდი „მთიელისა“ და „შავფაროსნების“ ერთობლივი სარეკლამო რგოლის პრემიერა გაიმართა. სარეკლამო რგოლის პრემიერამდე, სტუმრებმა „შავფაროსნების“ ორთაბრძოლა იხილეს და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულებული ქართულ ხალხური სიმღერები მოისმინეს. 54-წამიანი სარეკლამო რგოლი არა მარტო ლუდი „მთიელის“ რეკლამა, არამედ უძველესი ქართული საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაციაა, რომელსაც ამ კლიპში „შავფაროსნები“ ასრულებენ.

თორნიკე ნიკოლაიშვილი: „მთიელი“ და „შავფაროსნები“ საერთო საქმეს — ქართული ტრადიციების გაცოცხლებას, შენარჩუნებასა და მათ პოპულარიზაციას ემსახურებიან!

„შავფაროსნები“ მიზნად ისახავენ ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და მასში გაერთიანებული საბრძოლო სახეობების, საბრძოლო კულტურის, უძველესი საბრძოლო ტრადიციების შესწავლას, აღდგენასა და სისტემატიზაციას. ხელს უწყობენ ამ ტრადიციების ერში გაცოცხლებასა და ამ კულტურის საკმაოდ მიმქრალი ინფორმაციის აქტუალიზაციას.

აქედან გამომდინარე, ლუდი „მთიელი“ „შავფაროსნების“ პარტნიორია. ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში კი, ისეთი სარეკლამო რგოლი შეიქმნა, რომელიც ფართო საზოგადოებას აცნობს, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები წარსულში.

„არ შეგვეძლო, ლუდი „მთიელის“ ახალი კონცეფცია და „შავფაროსნების“ ფენომენი ერთმანეთთან არ დაგვეკავშირებინა, რის შედეგადაც შეიქმნა სარეკლამო რგოლი. ეს ჩვენი დიდი მეგობრობისა და თანამშრომლობის მხოლოდ დასაწყისია. მომავალში ვგეგმავთ ერთობლივი პროექტების განხორციელებას. ლუდი „მთიელი“ და „შავფაროსნები“ საერთო საქმეს — ქართული ტრადიციების გაცოცხლებას, შენარჩუნებასა და მათ პოპულარიზაციას ემსახურებიან. ამ ბრენდის ბაზარზე ჩაშვება რომ გადავწყვიტეთ, მთაში ლუდის დამზადების ძველი რეცეპტები მოვიძიეთ და ფართო მომხმარებლამდე მივიტანეთ. მეორე მხრივ, არიან „შავფაროსნები“, რომლებმაც ძველი ქართული იარაღი, ილეთები, საბრძოლო ხელოვნების ტრადიციები მოიძიეს, ააღორძინეს და მათი საქმიანობაც ქართულ მთას უკავშირდება. ეს ორი მიმართულება იმდენად კარგად ერწყმის ერთმანეთს, რომ წარმოუდგენელია, როგორ არ უნდა შემდგარიყო ჩვენი თანამშრომლობა“, — განაცხადა კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, თორნიკე ნიკოლაიშვილმა.

„ვერსია“ „შავფაროსნების“ დამფუძნებელს, ირაკლი ქოქოსაძეს გაესაუბრა. მისი თქმით, „შავფაროსნები“ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის წევრები არიან. უკვე 20 წელზე მეტია, რაც თანამედროვე გარემოში, უძველესი ქართული საბრძოლო ხელოვნების ტრადიციები აღადგინეს და ახალგაზრდებს ამ ტრადიციების მიხედვით წვრთნიან. თავდაპირველად, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია შეიქმნა, მოგვიანებით, ფედერაციას „ხრიდოლი“ გამოეყო და ცალკე ორგანიზაციად დაფუძნდა. 2011 წლიდან, დარჩენილმა ახალგაზრდებმა უძველესი ტრადიციების მიხედვით, „შავფაროსნები“ დაირქვეს და საბრძოლო საქმიანობა ასე გააგრძელეს.

ირაკლი ქოქოსაძემ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ „შავფაროსნებს“ სპარსულ წყაროებში „ყარა ყალღანებად“ მოიხსენიებენ. „შავფაროსნები“ უსახელო გმირები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა შემოსევებისა და ომების დროს, უდიდეს საქვეყნო საქმეს აკეთებდნენ, მტერს ხვდებოდნენ და ვაჟკაცურად ერკინებოდნენ. ამჟამად „შავფაროსნები“ 400-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს, თბილისის გარდა, ეს ორგანიზაცია მოქმედებს ბათუმში, ქუთაისში, გორსა და ყაზბეგში. ირაკლი ქოქოსაძის თქმით, ლუდი „მთიელის“ რეკლამაში „შავფაროსნების“ მონაწილეობას კიდევ ერთი პოზიტიური დატვირთვა აქვს, ეს რეკლამა დიდ საქმეს გააკეთებს, რომ „შავფაროსნებმა“ სრულიად საქართველო მოიცვან და კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვონ საზოგადოებაში.

მაია მიშელაძე

მინიმალური ინვესტიცია — მაქსიმალური შედეგი!

ლევან ცალუღელაშვილი
570-700-537

განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი – ნებისმიერი ევროპული ქვეყნისთვის პრიორიტეტულია, თუმცა რატომღაც, ხარისხიანი განათლება ხშირად ძვირადღირებულთან ასოცირდება. აშშ-ში არსებულმა შედარებით პრესტიჟულმა ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა არაამერიკელი სტუდენტებისთვის სწავლების უნიკალური მოდელი შექმნა.



MBA

უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას აძლევს, ისწავლოს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე დისტანციურად, მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საფასურად. იგივე სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ამერიკელ სტუდენტს ორი წლის განმავლობაში 25 000 დოლარამდე უჯდება, აქციის ფარგლებში კი არაამერიკელი სტუდენტი მხოლოდ 680 დოლარის გადახდის საფუძველზე იწყებს სწავლას. მთლიანად კი, ორწლიანი სასწავლო პროგრამა მხოლოდ 1400 დოლარამდე უჯდება. სწავლება მიმდინარეობს ელექტრონული სასწავლო მასალების გამოყენებით.

სტუდენტი, ცხადია, უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას და უნდა გააჩნდეს ბაკალავრის დიპლომი. ასეთი შეთავაზებით უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, სწორედ სწავლის ხელმისაწვდომობაზე ზრუნავს, ხოლო მეორე მხრივ, სტუდენტებს შორის პოპულარობით სარგებლობს.

თავად პროგრამებს რაც შეეხება, უნივერსიტეტი ამჟამად სთავაზობს სამაგისტრო პროგრამებს (MBA) მარკეტინგის მენეჯმენტში, სასტუმრო ბიზნესის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციათა მართვაში.

პროგრამების უნიკალურობა კიდევ ის არის, რომ დასაქმებულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, ისწავლოს თავისუფალ დროს ან სულაც, დროებით ტაიმ-აუტი აიღოს და სწავლა მოგვიანებით განაგრძოს.

საქართველოში აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება უკვე მიმდინარეობს. მომავალ სტუდენტს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, ახალ ჯგუფთან ერთად განაგრძოს სწავლა. პროგრამის მიმდინარეობას საქართველოში კოორდინაციას უწევს სააგენტო „დანიკა კონსალტინგი“. როგორც სააგენტოში აცხადებენ, აქციას უნივერსიტეტი სწორედ სააგენტოს მეშვეობით ახორციელებს. სააგენტო თავის მხრივ, სწავლების განმავლობაში სტუდენტებს უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში სრულ ტექნიკურ მხარდაჭერას სთავაზობს. სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი და გადაეცემა დიპლომი.

სოზარ სუბარი არ გამორიცხავს, რომ არასრულწლოვან პატიმარს ვინმესთან უთანხმოება ჰქონდა

ქუთაისის №2 საპყრობილეში, 16 წლის სენაკელი გოგი ძველაია გარდაიცვალა. ქურდობის ბრალდებით დაკავებული არასრულწლოვანი პატიმარი საპატიმროში 24 საათის შეყვანილი იყო. როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა, სოზარ სუბარმა განმარტა, ძველაია მარიამობის დღესასწაულზე, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა, თუმცა საპატიმროში მეორედ მოხვდა.

„ერთი წლის განმავლობაში პირველად მოხდა არასრულწლოვანის გარდაცვალება. წინასწარი ინფორმაციით, ეს არის სუიციდი. 24 საათიც არ იყო გასული მისი შემოყვანიდან, თუმცა ეს იყო მისი მეორე პატიმრობა. დღის განმავლობაში იგი რამდენჯერმე მოინახულეს. სოციალური სამსახურის წარმომადგენელი ნახევარი საათის გასული იყო მისი საკნიდან, როდესაც ეს ფაქტი მოხდა“, — აცხადებს სუბარი, რომელსაც არ ეთანხმება გარდაცვლილის მამა თენგიზ ძველაია და განმარტავს, რომ პატიმარს თავის მოკვლის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, რადგან საპყრობილეს გირაოს სანაცვლოდ მალე დატოვებდა. გარდაცვლილი მოკლულია და მას ქუთაისის ციხის ერთ-ერთ ე.წ. მაყურებელთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, რაც ოჯახისთვისაც ცნობილი იყო.

სასჯელაღსრულების მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანს ვინმესთან უთანხმოება ჰქონდა, ამიტომ მოითხოვა საკანში მარტო ყოფნა და შესაბამისი განცხადებაც დაწერა.

„ვერსიანიუსი“

Financial Times: „თანაინვესტირების ფონდში ბიძინა ივანიშვილის როლი კითხვებს ბადებს“

„საქართველოს პრემიერ-მინისტრი და 6-მილიარდიანი კერძო ინვესტირების ფონდი“, — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა Financial Times მონიკა ელენას სტატიას საქართველოს თანაინვესტირების ფონდზე. როგორც სტატიაშია აღნიშნული, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს მილიარდერმა პრემიერ-მინისტრმა კერძო ინვესტირების ფონდი აამუშავა, რომლითაც ცოტა ვინმე თუა აღფრთოვანებული.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ საქართველოს 6-მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდში ბევრი გავლენიანი ინვესტორი გაწევრიანდა, მათ შორის „აბუ დაბი ჯგუფი“ არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, თურქული Calik Holdings და Cinuri Milestone Intl Holding და თავად ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც თავისი კერძო ქონებიდან აქ 1 მილიარდი დოლარი დააბანდა. **„თუმცა, ფონდის მასშტაბებმა და სამთავრობო სტრუქტურებმა ეჭვები გამოიწვია ქვეყანაში, სადაც ბიზნესი და პოლიტიკა ხშირად არის ერთმანეთში გადახლართული“,** — წერს მონიკა ელენა და აღნიშნავს, რომ საქართველოს თანაინვესტრების ფონდი ენერგეტიკის, ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და სხვა სფეროებში განსახორციელებელ პროექტებს დააფინანსებს. ავტორი ციტირებს ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი ბაჩიაშვილის კომენტარსაც, რომელიც აღნიშნავს, რომ ფონდი პრიორიტეტს მიანიჭებს 5 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროექტებს, ხოლო თანამონაწილეობა 75%-მდე განისაზღვრება, დაახლოებით, შვიდი წლით და ეს ვადა მაქსიმუმ 2 წლამდე გაიზრდება. ამ ვადების გასვლის შემდეგ კი, ფონდი გამოვა თავისი საინვესტიციო პროექტებიდან საკუთარი წილის პროექტის თანამფლობელებისთვის ან მესამე მხარისთვის, ან საფონდო ბირჟაზე პირველადი განთავსების მიყიდვის გზით. **„რა თქმა უნდა, საქართველოს სჭირდება ინვესტიციები. 2013 წლის პირველ ნახევარში მისი მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) 1,8%-ით გაიზარდა, რაც მკვეთრი ვარდნაა 2012 წლის 6,1%-იან ზრდასთან მიმართებაში. მიმდინარე წელს მთავრობა იმედოვნებდა 2 მილიარდი დოლარის მოზიდვას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, თუმცა ცოტა ხნის წინ საკუთარი პროგნოზი 1 მილიარდ დოლარამდე შეამცირა. ქართველები კი შეშფოთებულნი არიან საცხოვრებელი ხარჯების მატებითა და მასიური უმუშევრობით — მოსახლეობის 46% საკუთარ თავს უმუშევრად და სამსახურის მაძიებლად მიიჩნევს“,** — წერს მონიკა ელენა და აღნიშნავს, რომ პოლიტიკურმა გაურკვევლობამ საკუთარი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ შენელებაში. მისივე თქმით, საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ, ყოფილი მოკავშირეები დაპირისპირებულ მეტოქეებად იქცნენ, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ქვეყნის პრეზიდენტს შორის პოლიტიკური კოჰაბიტაცია კი რთული გამოდგა.

„მათ დიდხანს აღარ მოუწევთ კოჰაბიტაციაში ყოფნა. 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ეწურება. ივანიშვილმა კი, რომელსაც პრემიერობის ვადა 2016 წლამდე აქვს, განაცხადა, რომ თანამდებობიდან საკაშვილის წასვლის შემდეგ გადადგება, რადგან მიაღწია მთავარ მიზანს – ხელისუფლებას ჩამოაშორა მთავარი კონკურენტი”, — აღნიშნავს „ფაინენშელ თაიმსის“ ავტორი. მისი თქმით, ბევრი კრიტიკოსი შიშობს, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ, შესაძლოა, მისი ჭირვეული კოალიცია დაიშალოს. ერთი ნაწილი კი აცხადებს, რომ ივანიშვილი თავის პოპულარობასა და შესაძლებლობებს გამოიყენებს და მთავრობას კულისებიდან გააკონტროლებს, თუმცა თავად პრემიერი ამ ბრალდებას უარყოფს.

„მიუხედავად ამისა, ახალ ფონდში მისი როლი, როგორც ცალკეული ინვესტორისა და საქართველოს ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის, რთულ კითხვებს ბადებს“, — აცხადებს ავტორი, რომელიც საქართველოს თანაინვესტირების ფონდის დირექტორის გიორგი ბაჩიაშვილის კომენტარს ციტირებს, რომლის მიხედვითაც ფონდი აბსოლუტურად კერძო, გამჭვირვალე და დამოუკიდებელია, სადაც მოქმედი პრემიერ-მინისტრი ისეთივე ინვესტორია, როგორც სხვები. **„6-მილიარდიანი ფონდი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს შეადგენს. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ფონდი მთლიანი თანხის დახარჯვას გეგმავს, რის გამოც, ანალიტიკოსებს აინტერესებთ, შეძლებს თუ არა საქართველოს შეზღუდული ეკონომიკა ამ თანხების ათვისებას. ფონდის გახსნაზე ივანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ იმედოვნებს, თანამდებობიდან მისი ვადაზე ადრე გადადგომა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ ინვესტორებს წაახალისებს. სექტემბრის დასაწყისში გავრცელებულ ღია წერილში ივანიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ხელისუფლებაზე ზედამხედველობის გაძლიერებას გეგმავს. თუმცა, ბევრი რამაა იმაზე დამოკიდებული, თუ როგორც შეითავსებს ის ამ განსხვავებულ როლებს“,** — წერს მონიკა ელენა.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველომ რუსეთს მეჩირაღდნე აპატია!“

„საქართველომ რუსეთს მეჩირაღდნე — სამხრეთ ოსეთის ომის გმირი — აპატია“, — ამ სათაურით ეხმაურება რუსული სააგენტო Lenta.ru საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას, რომ ვერ ხედავს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის გადაწყვეტილების გადახედვის საფუძველს.

სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომის „გმირი“, რუსი სამხედრო მფრინავი, ივან ნიჩაევია. რუსული მედიის ცნობით, იგი 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდა. სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც ის მართავდა, დააზიანეს, თუმცა, პილოტმა დავალება შეასრულა და ავიაბაზაზე თვითმფრინავის დაშვება შეძლო. ამ ფაქტს საერთაშორისო წრეებში დიდი სკანდალი მოჰყვა.

„საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე სწორი გადაწყვეტილების მიღების თხოვნით ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა. მისი ეს რეაქცია მოჰყვა ინფორმაციას, რომ 6 ოქტომბერს, მოსკოვში, დაწყებულ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მონაწილეობა მიიღო მფრინავმა ივან ნეჩაევმა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში იბრძოდა და ომში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისთვის რუსეთმა გმირის წოდება მიანიჭა”, - წერს Lenta.ru და აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ნაჩაევის მეჩირაღდნეობას „გამომწვევი“ უწოდა, მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი აღნიშნულია, რომ საქართველო ყურადღებით დააკვირდება სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საკითხს გადახედავენ, თუ დარწმუნდებიან, რომ მისი პოლიტიზირება და საქართველოს წინააღმდეგ მიზანმიმართული გამოყენება ხდება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები რუსული ინტერნეტგამოცემა lenta.ru-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიას ცინიკურს უწოდებენ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე კი აცხადებს, რომ **„ნებისმიერი მთავრობა, ვინც არ უნდა მოვიდეს, ქართველი ხალხის ნებაზეა დამოკიდებული და ნომერ პირველი პრიორიტეტი ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის აღდგენაა. განსაკუთრებით კი, იმ საოკუპაციო ხაზზე, რომელიც დღეს რუსეთის სამხედრო აგრესიის ქვეშაა მოქცეული“.**

„ვერსიანიუსი“

კულტურა

RADIO MUZA

ნოემბრის ბოლოს სანდრა რულოვსის რადიო „მუზა“ დაიხურება?!

მე-4 გვერდიდან

ამაზე მთავარი კი ისაა, რომ ეს სახელოვნებო რადიო ყველას ძალიან უყვარს და დაინტერესებულები ვართ, „მუზასთან“ დაკავშირებით პრობლემა მოიხსნას. ვიცი, გადაცემები დაიხურა, თანამშრომლები გაათავისუფლეს... ეს ჩემი გულისტკივილიცაა. რაც შეგვიძლია, დავუდგებით გვერდით რადიოს. იმედია, მალე პრობლემა დაჩქარებული ტემპით გადაიჭრება. ახლა მაინც წინასაარჩევნო პერიოდია... „მუზამ“ უნდა იარსებოს და, მგონი, ნამდვილად იარსებებს, რადგან ამის ღირსია“.

ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ „მუზას“ პრობლემებსა და პოლიტიკურ ბატალიებს შორის კავშირი უარყო და განაცხადა: **„ერთი წუთით არ იფიქროთ, რადგან ქალბატონი სანდრაა დამფუძნებელი, იმიტომ იქმნება პრობლემები. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაკეთდება საკითხის დადებითად გადასაჭრელად“.**

რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი, ჯერ გაურკვეველია, არადა, როცა სახეზე გვაქვს „სასაცილოდ“ მონათლული კანონების დაჩქარებული წესით მიღება, როცა სამსახურს კარგავენ პროფესიონალები და ხელის ერთი მოსმით ინგრევა წლების განმავლობაში ნაშენები, როცა მომავალი თაობების გადარჩენის სპეკულირებით ვიღებთ კანონებს თამბაქოს, აზარტული თამაშების, პრეზერვატივებისა და ლამის სერიალების აკრძალვის შესახებ, ერთი საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებასა და გატანას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება. „მუზას“ ეროვნული მნიშვნელობის შესახებ არაერთი ხელოვანი თუ საზოგადო მოღვაწე საუბრობს წერილებში, რომლებიც კულტურის მინისტრს გაუგზავნეს უნიკალური რადიოს გადარჩენის მოთხოვნით. წერილების რაოდენობა 100-ს დიდი ხანია ასცდა. „ვერსია“ მათგან ძალიან მწირ ამონარიდებს გთავაზობთ.

გია ყანჩელი: „ქართული კულტურული მემკვიდრეობა, უდავოდ, საერთაშორისო მასშტაბის მოვლენაა და სწორედ ამიტომ, ძნელად წარმოსადგენია, რომ აღმავლობის გზაზე მდგომი ქვეყანა, კლასიკური მუსიკის მაუწყებლის გარეშე, ოდესმე საერთაშორისო დონის მოთამაშე გახდეს. არ ვისურვებდი, რომ ქართული მრავალხმიანობის ფენომენს მოაკლდეს ისეთი მნიშვნელოვანი ხმა, რომელიც კლასიკური მუსიკის სახელს ატარებს“.

ელისო ვირსალაძე: „დღეს კლასიკური მუსიკის სფერო, მრავალგვარი პრობლემის წინაშე დგას და ვფიქრობ, აუცილებელია ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ შევინარჩუნოთ არაჩვეულებრივი რადიოარხი, რომელიც ნამდვილად ემსახურება ეროვნულ ინტერესებს“.

რეზო თავაძე: „როგორც გავიგე, რადიო „მუზას“ გაუჩნდა პრობლემები მატერიალური უზრუნველყოფის სახით. მისი მუშაობის შეწყვეტა, ისეთ ვითარებაში, როცა არ არსებობს სხვა მსგავსი არხი, რომელსაც ასევე თამამად შეუძლია თქვას: „ჩვენ ვართ კლასიკა!“ მაიძულებს, მოგმართოთ თხოვნით როგორც ქართველს, ხელოვან მწერალს, კულტურის მინისტრს, გააკეთოთ ყველაფერი, რაც ხელგეწიფებათ“.

ხატია ბუნიათიშვილი: „ბატონო გურამ, ვიცი, რომ კლასიკური მუსიკის დიდი მოყვარული ხართ. გთხოვთ, როგორც ხელოვანს მწერალს, ენდეთ საკუთარ ინტუიციასა და ლოგიკას, ენდეთ თქვენს გულს, გონებას, რომელიც დარწმუნებული ვარ, იმასვე გკარნახობთ, რასაც მე გწერთ არა მხოლოდ ჩემი, არამედ ყველა ჩემი კოლეგის და იმ ადამიანის სახელით, რომელთა გულებში ჯერ არ დაუმკვიდრებია კლასიკურ მუსიკას ადგილი და ამ საგანძურის არაღმოჩენის საშიშროების წინაშე შეიძლება დადგნენ“.

ლაშა გაგუნია: „ნუ მოკლავთ მუზას! „მუზას“ სიკვდილი ძალიან ცუდი იქნება ქართული კულტურისთვის, ამიტომ ჩვენ — მოსახლეობამ და სახელმწიფომ იქნებ მოვახერხოთ მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. არსებობს მარადიული კულტურული ღირებულებები, რომლებიც ვერ ჯდება შოუბიზნესის მკაცრ ჩარჩოებში. ეს უკანასკნელი დიდი კომერციული მანქანაა, ხოლო კლასიკური მუსიკა, ისევე როგორც ფოლკლორი, ხალხის კუთვნილებაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ერის განვითარების აუცილებელი ფაქტორია“.

ლაშა გულაძე: „იქნებ დაეხმაროთ რადიო „მუზას“, რადგან დამერწმუნეთ, ამ ხმაურიან და კაკაფონიურ დროში, „მუზა“, უდავოდ, მნიშვნელოვანი და დამაიმედებელი თავშესაფარია მუსიკის ყველა მოყვარულისთვის“.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

8-მილიარდიან ბიუჯეტში, ჯანდაცვა 2 მილიარდ ლარზე მეტითაა დაფინანსებული

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფაა

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 7 379 800 000 ლარითაა განსაზღვრული, საბიუჯეტო შემოსავლები კი 2013 წლის გეგმასთან შედარებით, 42 700 000 ლარით ნაკლებია. ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფაა, შესაბამისად, 2014 წელს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 355 000 000 ლარით გაიზარდა და 2 700 000 000 ლარით განისაზღვრა, რაც ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 30%-ს შეადგენს. მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა, როგორც პრიორიტეტი, ითვალისწინებს პროგრამებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, გააუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების ბენეფიციარებისათვის შეთავაზება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსების ზრდა, 2013 წლის განმავლობაში გაზრდილ სოციალურ გასაცემლებსა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას უკავშირდება. სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის ფარგლებში, სოციალური დავისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის — 1 920 700 ლარია გამოყოფილი; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისათვის — 300 800 000 ლარი; მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის დაზღვევისათვის — 200 078 100 ლარი; ხოლო ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა პროგრამებისთვის — 130 026 000 ლარი.

2014 წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტში, დეტალურადაა გაწერილი ჯანდაცვის ის პროგრამები და სამედიცინო მომსახურება, რომლებიც ასე ფინანსდება: საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის ბიუჯეტში გამოყოფილია 53 162 000 ლარი, აქედან საქონელი და მომსახურება 8 650 000 ლარით, ხოლო სოციალური უზრუნველყოფა — 44 512 000 ლარით ფინანსდება. სამწუხაროდ, 2014 წლის პროგრამულ ბიუჯეტში, ისევე, როგორც 2013 წელს, კვლავ არ არის განმარტებული, რას ნიშნავს საქონელი და მომსახურება.

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი 2014 წლის ბიუჯეტში 2 000 000 ლარითაა დაფინანსებული, იმუნიზაცია — 5 770 000 ლარით, ეპიდზედამხედველობის პროგრამა — 1 500 000 ლარით, უსაფრთხო სისხლი — 1 200 000 ლარით, პროფესიულ დაავადებათა პრევენცია — 270 000 ლარით, ინფექციური დაავადებების მართვა — 17 000 000 ლარით. ტუბერკულოზის მართვა ბიუჯეტში 12 000 000 ლარითაა დაფინანსებული, საიდანაც საქონელსა და მომსახურებაზე 1 100 000 ლარი, ხოლო სოციალურ უზრუნველყოფაზე — 10 900 000 ლარია გათვალისწინებული.

აივ ინფექცია/შიდსი, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 200 000 ლარითაა დაფინანსებული, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა — 5 144 000 ლარით, ნარკომანია — 6 078 000 ლარით, მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში — 78 866 000 ლარითაა დაფინანსებული. 2014 წლის ბიუჯეტში, ფსიქიკური ჯანმრთელობა — 14 200 000 ლარითაა დაფინანსებული, დიაბეტის მართვა — 4 940 000 ლარით, ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება — 1 274 000 ლარით, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია — 24 590 000 ლარით, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა — 3 100 000 ლარით, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა — 5 462 000 ლარით. რაც შეეხება სასწრაფო გადაუდებელ დახმარებასა და სამედიცინო ტრანსპორტირებას, 2014 წლის ბიუჯეტში 9 990 000 ლარია გამოყოფილი, სოფლის ექიმი — 7 400 000 ლარითაა დაფინანსებული, რეფერალური მომსახურება — 7 000 000 ლარით.

სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმებისთვის 2014 წლის ბიუჯეტში 1 000 000 ლარია გამოყოფილი, ხოლო დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისთვის — 620 000 ლარი. რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციასა და აღჭურვას, ბიუჯეტში 18 831 000 ლარია გამოყოფილი, აქედან საქონელი და მომსახურება — 47 000 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა — 18 784 000 ლარითაა დაფინანსებული.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, დეტალურადაა განმარტებული, თუ რას ნიშნავს მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა. როგორც აღვნიშნეთ, ეს სახელმწიფოს პრიორიტეტია, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შექმნას. ამისთვის აუცილებელია, გაიზარდოს სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურების ხარისხი. 2014 წელს კვლავ გაგრძელდება მუშაობა დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნისა და საპასუხო რეაგირების კუთხით, გაუმჯობესდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ორგანიზება და მართვა სექტორის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში, საქართველოს ყველა მოქალაქე ეტაპობრივად იქნება უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის უნივერსალური საბაზისო პაკეტით. ჯანმრთელობის დაცვის უნივერსალური პროგრამა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ფინანსური რისკებისაგან დაცვას, დაავადებათა პრევენციასა და გადაუდებელი მკურნალობის ბაზისურ მოცვას უზრუნველყოფს. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით, მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმები დაინერგება. გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამული დაფინანსებაც გაიზრდება.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, პენსიონერები უზრუნველყოფილი იქნებიან კანონმდებლობით განსაზღვრული საპენსიო გასაცემლებით. სოციალური მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სპეციალიზებული დაწესებულებების გახსნა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, დაფინანსდება მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები. სოციალური მომსახურების დაწესებულებათა ქსელის განვითარება კი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპს დაეფუძნება. რაც შეეხება სოციალურ დაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფას, ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულება სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრა, სოციალური რისკების განეიტრალება და ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაა.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას, 2014 წლის ბიუჯეტში განმარტებულია, რომ სახელმწიფო, მოსახლეობას ჯანმრთელობის დაცვის სერვისებს მიაწვდის, კერძოდ, მიზნობრივ ჯგუფებს სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფს. „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამის ფარგლებში, დაზღვევის არმქონე მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ოჯახის ექიმის მომსახურებით, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯები დაფინანსდება, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობა, აივ-ინფექცია, შიდსი, ტუბერკულოზი, ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული მომსახურებები. თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალურ სტადიაზე მყოფი პაციენტებისთვის კი დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის მომსახურებები დაფინანსდება. 2014 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს დიაბეტის მართვას, ნარკომანიის მკურნალობასა და ჩანაცვლებით თერაპიას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, 2014 წლის ბიუჯეტით დამატებით დაფინანსდება მოსახლეობის იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა და ისეთი გადამდები დაავადებები, როგორებიცაა მალარია, ასევე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზღვევას, ამ პროგრამის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფების ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა ხორციელდება. ამ სამიზნე ჯგუფებში შედის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, ორგანიზებულად ჩასახლებული დევნილები და იძულებით გადაადგილებული პირები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვები და აღმზრდელები, საჯარო სკოლებისა და ცალკეული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, საქართველოს პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლები და ცალკეული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღსაზრდელები. ასევე სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები, 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები, საპენსიო ასაკის მოსახლეობა, სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

2013 წელს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“ დაიწყო, რომლის მიზანია, ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე. აგრეთვე, მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით. ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე (იგულისხმება გეგმური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, კარდიოქირურგიული და ონკოოპერაციები, ონკოპაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები).

ვერსიანიუსი

რომელ სამინისტროს შეუმცირდება საბიუჯეტო დაფინანსება

ზოგიერთ სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსება უმცირდება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კი ბიუჯეტი გაუნახევრეს. საბიუჯეტო დაფინანსება უმცირდებათ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და ენერგეტიკის სამინისტროებს.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 380 000 000 ლარით, ხოლო საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 6 950 000 000 ლარით განისაზღვრა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 22,3%-ია.

მომავალი წლის პრიორიტეტებში ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სექტორები შედის. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 355 მილიონი ლარით — 2,7 მილიარდ ლარამდე გაიზრდება; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს — 91 მილიონი ლარით (764,3 მილიონ ლარამდე). სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, დაახლოებით, 50 მილიონი ლარით მეტი, 290 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი გაისად 37,5 მილიონი ლარით შეუმცირდება და 891 მილიონი ლარს შეადგენს. კლება იძულებით გადაადგილებულ პირთა ხარჯზე განხორციელდება (მათ დაფინანსება 36 მილიონი ლარით შეუმცირდებათ). შემცირდება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების ღირებულებაც (27 მილიონი ლარით).

21,4 მილიონი ლარით მოიკლებს იუსტიციის სამინისტროს, 19,3 მილიონით კი — სასჯელაღსრულების სამინისტროს ბიუჯეტი. დაფინანსება გაუნახევრდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 25 მილიონ ლარამდე, ძირითადად, არაფინანსური აქტივების შემცირების ხარჯზე, თუმცა საგულისხმოა, რომ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის გაისად მილიონნახევარი ლარით ნაკლები დაიხარჯება (4,9 მილიონი ლარი). 2012 წელს ეკონომიკის სამინისტროსთვის ბიუჯეტში 183,5 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. დაფინანსება 15 მილიონი ლარით შეუმცირდება ენერგეტიკის სამინისტროსაც.

თავდაცვის, კულტურის, შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებისთვის განკუთვნილი ასიგნებები უცვლელი რჩება, თუმცა აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს მომუშავეთა ხელფასები გაისად 33,9 მილიონით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კი — 721 ათასი ლარით გაიზრდება.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 1,8 მილიონი ლარით გაუზარდეს დაფინანსება, საიდანაც ხელფასებზე გაისად 4,9 მილიონით მეტს დახარჯავენ.

„ინტერპრესნიუსი“

დავით დევიძე
593-219-042

ავღანელ თალიბებსა და ჩოკუტაევს ერთი დამკვეთი ჰყავს — რუსული სპეცსამსახურები!

სამარ ჩოკუტაევის მიერ დამზადებულ „ჯიჰადის ვიდეოსა“ და ცოტა ხნის წინ ავღანეთში ქართველი მეომრების წინააღმდეგ გავრცელებულ ტერაქტს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მეტიც, ავღანელ თალიბებს ტერაქტი იმ ძალამ შეუკვეთა, რომელმაც ჩოკუტაევს დაავალა, კიბერმუქარა გაევრცელებინა საქართველოს წინააღმდეგ. ეს რუსული სპეცსამსახურებია, — ასეთ სკანდალურ ვერსიას გვთავაზობს ექსპერტთა კლუბის წევრი ირაკლი ცქიტიშვილი. თალიბები რუსების დავალებით თუ მუშაობენ, შეიძლება ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია და ისიც ცნობილია, რომ თვითონ ჩოკუტაევიც ამზადებდა ავღანელ სპეციალისტებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. მოკლედ, გამოდის, რომ რუსეთი მარტო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კი არა, ავღანეთშიც გვებრძვის. ჩვენი აგრესორი მეზობლის რა სურვილები იმალება ამ ბრძოლის უკან, ამას ბატონ ირაკლისთან საუბრიდან შეიტყობთ, რომელსაც პირველი კითხვა დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დავუსვით.

ექსპერტ ირაკლი ცქიტიშვილის სკანდალური ვერსია

— ბატონო ირაკლი, გასაგებია, რომ რუსეთი საზღვარს გვივლებს მიტაცებულ ტერიტორიაზე, მაგრამ ამასაც ხომ თავის პრინციპი აქვს: გასათვალისწინებელია ბუნებრივი ლანდშაფტი, ესენი კი პირდაპირ სოფლებს ჭრიან შუაზე ანუ მათ ქმედებაში დიდი ცინიზმი იკითხება. რითაა გამოწვეული ასეთი აგდებული დამოკიდებულება რუსეთის მხრიდან?

— ამ შემთხვევაში საზღვარს იმიტომ ავლებენ ღია ადგილას, რომ უფრო იოლად გაკონტროლდეს. ასეთი პრეცედენტები ადრეც ყოფილა. როცა, მაგალითად, საბჭოთა კავშირის საზღვარი გამოყვეს თურქეთთან და სოფელი შუაზე გადაჭრეს. ანუ თუ არ არსებობს ბუნებრივი საზღვარი, მხედველობაში მაქვს მდინარე, ზღვა, მთა და ა.შ. მაშინ ასეთი რამ კეთდება ყოველთვის ღია ადგილას, ამიტომაც გადის ამ წუთას საოკუპაციო ხაზი ყანებსა და ბაღებზე. როგორც ჩანს, რუსეთი საზღვრის მოწყობის საბჭოური ინსტრუქციებით ხელმძღვანელობს, თუმცა, ალბათ, სხვა ქვეყნებშიც ეგრე ხდება. რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გავაკეთოთ: თუ ვიძახებთ მარტო იმას, რომ ომი არ გვინდა და გამწვავებაზე არ წავალთ, ეს შორს არ წაგვიყვანს. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა შედეგს, არამედ მიზეზს, ეს მიზეზი კი რუსეთია. თუმცა სანამ დათბობის პოლიტიკას ატარებს ჩვენი ხელისუფლება, მას ხელები შებორკილი აქვს, გააკეთოს ხისტი, მწვავე განცხადებები საზღვრის გადმოწევის თაობაზე; ანდა, საინტერესოა, სად არის პოლიცია, თუ ასეული მეტრით საზღვრის გადმოწევას აქვს ადგილი, ამას ხელს რატომ არ უშლის?

— შსს-ს წარმომადგენლები პირველივე დღეებიდან იქ არიან, მაგრამ თქვენ ალბათ გულისხმობთ შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებს, რომელმაც მოსახლეობა უნდა დაიცვას... არგუმენტად პროვოკაციის თავიდან არიდება სახელდება!

— ცხადია, რუსეთს ნებისმიერი სახის პროვოკაცია აწყობს, თუმცა ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, ჩვენ როგორ მოვიქცევით. საქართველოში გვყავს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც აწარმოებს მთელ საოკუპაციო ხაზზე დაკვირვებას. ჩვენც გვაქვს უფლება, ასეთ შემთხვევაში ტერიტორია გავაძლიეროთ პოლიციური ძალებით, რადგან ეს არის ჩვენი ტერიტორია და მისიასთან შეთანხმებით უნდა შევიყვანოთ ეს დანაყოფები თუნდაც იმიტომ, რომ ამ წყალგამყოფს აქეთ რუსები ვერ გადმოდიოდნენ და ქართველებს ვერ იტაცებდნენ. დღეს კი ფრონტის ხაზის აქეთა სოფლები დაუცველია და თავისუფლად ახერხებენ აქეთ გადმოსვლასა და თარეშს.

— ზოგიერთი ექსპერტი ავრცელებს აზრს, რომ ეს ყველაფერი სამხედროების თვითშემოქმედებაა და კრემლი არაფერ შუაშია. ეს შეიძლება რეალობა იყოს თუ „კეთილი პუტინის“ ხატის შექმნის მცდელობაა?

— რუსი სამხედროები ასრულებენ კრემლის დავალებას და არავინ თქვას, რომ ასე არაა — ისე, რუსები ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამენ. ასე რომ, ნებისმიერი განცხადება — მოსკოვში არაფერი იციანო, სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული. არ ვიცი, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს თავის მოტყუება.

— რამდენადაა დაკავშირებული ეს დაძაბულობა სოჭის ოლიმპიადასთან? ამბობენ, ამის შემდეგ ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგებაო.

— სოჭის ოლიმპიადა ის ფაქტორია, რომელიც ყველა საჯარისო ქმედების გამაკცრებას უწყობს ხელს, როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის ტერიტორიებზე, თუმცა არ ვეთანხმები, რომ ამასთანაა დაკავშირებული მავთულხლართების გავლება. რაც დღეს საოკუპაციო ზოლზე ხდება, ცხინვალის რეჟიმისთვის სახელმწიფოებრიობის მინიჭებისა და მათთვის საზღვრის დაკანონების მცდელობაა. ამდენად, ამ ყველაფერს ოლიმპიადასთან არანაირი კავშირი არ აქვს და რუსეთი ასე ნებისმიერ შემთხვევაში მოიქცეოდა — ექნებოდა ოლიმპიადა ჩასატარებელი თუ არა... რუსები ჩვენგან იმას ელიან, რასაც აკეთებენ სომხეთში. ელიან, რომ საგარეო პოლიტიკა სრულიად იქნება შეთანხმებული რუსეთთან, რომ ეკონომიკური პოლიტიკა დამოკიდებული მათ ეკონომიკაზე და ასევე ჩვენი სამხედრო დოქტრინა სრულიად იქნება შეთავსებული მათ დოქტრინასთან.

— ეს ჩოკუტაევიც მათი პროექტია?

— რაც შეეხება ჩოკუტაევს, ჩემი ვერსიით, მის უკან დგანან რუსეთის სპეცსამსახურები იმიტომ, რომ თავად ჩოკუტაევს ასეთი სისულელის გაკეთების საბაბი არ ჰქონდა. გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, ამ ვიდეორგოლის კავშირი ავღანეთში მომხდარ ტერაქტთან, რადგან არ გამოვრიცხავ, რომ ეს ტერაქტი იყო რუსების მიერ თალიბებისთვის შეკვეთილი, მოტივი კი იყო შემდეგი: იმ დროს, როცა ტერაქტი მოხდა, უკვე დაძრული იყო უარყოფითი დამოკიდებულება ნატო-სა და, საერთოდ, ავღანურ მისიასთან დაკავშირებით, ტერაქტმა კი უფრო გააღრმავა ასეთი დამოკიდებულება. მიკვირს, რატომ გამორიცხა შსს-მ კავშირი ვიდეორგოლსა და ტერაქტს შორის, თუმცა ვფიქრობ, ყველაფერი ჯერ კიდევ არ უთქვამთ და ამას მომავალში გააკეთებენ.

— თუკი რუსების ჭკუაზე თალიბებიც დარბიან, მით უფრო ადვილად მოისყიდიან ისინი ევროპელ თუ ამერიკელ ჩინოვნიკებს. გამოდის, რუსეთთან ყველა ფრონტზე ვაგებთ.

— პრინციპში — ასეა, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა მაინც ჩვენს სასარგებლოდ არის. რომ არა გამაწონასწორებელი ფაქტორი აშშ-სა და ევროპის სახით, უარესად დაჩაგრულ მდგომარეობაში ვიქნებოდით. ცუდად თუ კარგად, ეს ქვეყნები მაინც არბილებს იმ ზეწოლას, რასაც რუსეთი ჩვენზე ახორციელებს. თანაც ისიც დამაიმედებელია, რომ ენერგოდამოუკიდებლობაზე ევროპის მიერ აღებული გეზი, რამდენიმე წლის შემდეგ, იმის საშუალებად შეიძლება იქცეს, რომ შეშფოთების გარდა, რუსეთზე სანქციების დადებასა და წნეხის გაძლიერებას შეძლებს.

მზად არის თუ არა ქართული საზოგადოება, დაეყრდნოს ინსტიტუციებს?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, რომ ქართული საზოგადოება მზად არის, უფრო მეტად დაეყრდნოს დემოკრატიულ ინსტიტუციებს, ვიდრე ერთ კონკრეტულ ლიდერს. „ივლისში, პრაიმერის დროს გვქონდა ბოთლებისა და ქვების სროლის შემთხვევა, მაგრამ, დაახლოებით, ერთი კვირის წინ გამართულმა შეხვედრამ მშვიდობიანად ჩაიარა. დარწმუნებული ვარ, არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის. ამაში საზოგადოებაც დარწმუნებულია. მოხარული ვარ პოლიციის დამოკიდებულებით ამ არჩევნებისადმი, რომელიც მზადაა, აღკვეთოს შესაძლო დარღვევები, თუმცა თავისთავად, პოლიცია შეინარჩუნებს სრულ ნეიტრალიტეტს და არჩევნების პროცესში მისი მხრიდან სრული ჩაურევლობა იქნება. რამაც ყველაზე მეტად გამახარა, არის ქართველი ხალხის რწმენა – ქართული საზოგადოება მზად არის, უფრო მეტად დაეყრდნოს დემოკრატიულ ინსტიტუციებს, ვიდრე ერთ კონკრეტულ ლიდერს ან ერთ არჩეულ პირს“, — აცხადებს ელჩი და აღნიშნავს, რომ საქართველოს სრული დემოკრატიულობის მიზნის მისაღწევად ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ამ თემაზე „ვერსია“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრება.

— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა მზად ქართული საზოგადოება, დაეყრდნოს ინსტიტუტებს და არა ლიდერებს?

— არ ვიცი, ელჩმა ეს სად დაინახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მოცემულობა არ გვაქვს. კომუნისტების დროიდან მოყოლებული, ინსტიტუტებისადმი რწმენა საქართველოში არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის. რეალურად, ეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების უმაღლესი დონეა. ამან გადაარჩინა ამერიკა სამოქალაქო დაპირისპირებას, როცა შვილმა ბუშმა პირველი კენჭისყრისას არჩევნები, პრაქტიკულად, ვერ მოიგო, ხმები ჯერ დათვლილი არ იყო, მთავრობა შეადგინა და საკუთარი თავი პრეზიდენტად გამოაცხადა, საეჭვო მომენტების მიუხედავად, ამერიკელებმა მაშინ გადაწყვიტეს, იყოს ეს კაცი პრეზიდენტი, ისეთი ძლიერი ინსტიტუტები გვაქვს, სანახევროდ ძალითმოსული პრეზიდენტი ვერ შეარყევსო. ამ რწმენამ გადაარჩინა მაშინ ამერიკა სამოქალაქო დაპირისპირებას. საქართველოში, მსგავს ვითარებაში, სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, რადგან ჩვენთან ინსტიტუტებს არც იცნობენ და არც ენდობიან. ყველაფერი პერსონიფიცირებულია, ერთ კაცს ენდობიან გარკვეულ ვადამდე, მერე ეს უცბად იკარგება. გამსახურდიას ჯერ ყველა ენდობოდა, მერე გუნდის ნახევარზე მეტი განუდგა; ასე მოხდა შევარდნაძის ზეობისას. ივანიშვილიც ერთი ადამიანისადმი რწმენის საფუძველზე მოვიდა და არა ინსტიტუტებისადმი. რასაკვირველია, ნორლანდი ელჩია და რაღაც სასიამოვნო უნდა თქვას ქვეყნისადმი, სადაც მუშაობს, თუმცა ეს რეალობას ყოველთვის არ ასახავს.

— მიზეზებს რაში ხედავთ, რომ ქვეყანაში ინსტიტუციებისადმი ნდობა არ იზრდება და ისევ „მხსნელი“ პერსონების იმედად ვრჩებით?

— ალბათ, ხელიდან გავუშვით მომენტი, როცა აქამდეც შეიძლებოდა ეს ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოება შექმნილიყო. საუბარია კომუნისტური ეპოქის შემდგომ, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დაბადებულ თაობაზე, რომელმაც ბიჭობისას, 17-18 წლის ასაკში ნახა სსრკ-ს მსხვრევა. მათაც შემდგომში რა იხილეს? სამოქალაქო ომი, მუდმივი დაპირისპირება, ერთ კაცზე აგებული სახელმწიფო, გასამხედროებული ბანდფორმირებები, „საველე მეთაურების“ პარპაში, ორ დღეში გაგენერლებული ჯარისკაცები; მერე ნახეს სააკაშვილის თაობა, შემდეგ ივანიშვილი... სულ მესიის, მხსნელის, მამა-მარჩენალის ლოდინში ვართ და ასეთ პირობებში, ძალიან ძნელად იქმნება სამოქალაქო საზოგადოება. აქ ცოტა სხვა მენტალობაცაა საჭირო. აშშ-ში, პრეზიდენტ ვაშინგტონის სახელი დედაქალაქს დაარქვეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, იმავე პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა დაწყებულიყო. შეიძლება, ეს იყო მაქსიმალურად ოპტიმალური კონსტიტუციით დაწყებული ცხოვრება. როდესაც ჯეფერსონმა საკონსტიტუციო კომისია ნახა, პირდაპირ განაცხადა, ეს ხომ ნახევრადღმერთების საკრებულოაო. ამერიკაშიც ხომ პიროვნებებზე იყო დამყარებული ბევრი რამ, მაგრამ ვაშინგტონს არც კონსტიტუცია, კანონი ხელს არ უშლიდა, ორჯერ პრეზიდენტობის მერე ეთქვა, მეტი აღარ მინდაო. ვერაფრით დაიყოლიეს ჯან-ღონით სავსე მამაკაცი, მესამედ გამხდარიყო პრეზიდენტი. ჩვენთან პოსტს ასე ვინ დატოვებს, არც ერთი ჩვენი ე.წ. ლიდერი საკუთარი ნებით არ მიდის პოლიტიკიდან. ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა გამონაკლისი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, მივდივარო, ვნახოთ, იქ რა და როგორ იქნება, ამიტომ ეტყობა, ჩვენთან კიდევ თაობები უნდა შეიცვალოს, რომ სამოქალაქო თვითშეგნებამ მოიმატოს.

— ფიქრობთ, ამ ვითარებას მხოლოდ დრო გამოასწორებს?

— გარკვეულწილად, დროს თავისი მოაქვს, მაგრამ აქ მეორე მხარეცაა — როცა ვეკითხებით მთავრობას, ეს რატომ არ კეთდებაო, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, ესენიც გვეუბნებიან, ყველაფერი უცებ ხომ არ ხდება; ხეს რომ დარგავ, ხომ უნდა ელოდო ხუთი წელი, სანამ ნაყოფს მოგვცემსო. ამასწინ მითხრეს, ივანიშვილს ბაღში ვაშლები აქვს, ნაყოფს პირველივე წელს ისხამსო, მაგრამ ჩვენი ქართული ვაშლი მხოლოდ 4-5 წლის შემდეგ გვაძლევს მოსავალს, კაკალი — 15 წლის შემდეგ იბერტყება, ამიტომ პოზიცია — ვაცალოთ, ბატონო — მსოფლიოში არსად მინახავს. ყველას ვადროვეთ, მაგრამ საბოლოოდ რა მივიღეთ? დრო ყველაფერს სჭირდება, მაგრამ ნუ გვავიწყდება ბიბლიური ჭეშმარიტება — გზას მავალი აძლიერებს, ბოლომდე ის მივა, ვინც არ ჩერდება და მიდის. ყოველდღიურად უნდა ვხედავდე, რომ დღეს გუშინდელზე ოდნავ უკეთესი ვითარებაა ქვეყანაში.

საქართველოს გაზმომარაგების „ირანული“ გამოწვევები

ზურაბ გამრეკელი

ამ რამდენიმე დღის წინ, ირანელმა პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ გაერო-ს გენასამბლეის 68-ე სესიაზე ირანი, როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყანა წარმოაჩინა. ამავე დროს, ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურმა, გენერალმა მოჰამად ალი ჯაფარიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტ ჰასან რუჰანის ბარაკ ობამასთან ტელეფონით არავითარ შემთხვევაში არ უნდა ესაუბრა. ამის გამო, პრეზიდენტ რუჰანის ორმა ახალგაზრდა ირანელმა კონსერვატორმა ფეხსაცმელიც კი ესროლა.

მიუხედავად ირანის კონსერვატორული ძალების წინააღმდეგობისა, ამ ქვეყნის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა აშშ-ს პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრის შემდეგ აღნიშნა, რომ 35 წლის წინ ირანსა და აშშ-ს შორის შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების განახლებისათვის აუცილებელია ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრა. ექსპერტების აზრით, ამ შეხვედრის შემდეგ მყისიერად არა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, შესაძლოა, დაიწყოს დასავლური ანტიირანული ენერგეტიკული სანქციების შერბილების, მომავალში კი, საერთოდ, გაუქმების პროცესი, რასაც საქართველოს ენერგეტიკა მომზადებული უნდა შეხვდეს. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ირანის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სომხეთში ირანის ელჩმა მოჰამად რეისიმ განაცხადა რომ ირანს ისევე, როგორც გასული საუკუნის 70-იან წლებში, თავისუფლად შეეძლო გამხდარიყო სომხეთის ქსელით საქართველოსთვის ირანული გაზის მომწოდებელი.

გაზის ქსელების ზემოაღნიშნული კონფიგურაცია, შესაძლოა, კვლავ აღორძინდეს, თუ ირანის ახლადარჩეული პრეზიდენტი ჰასან რუჰანი დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას გააგრძელებს. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ ირანული ნახშირწყალბადების ისეთი პოტენციური სატრანზიტო ქვეყნები, როგორებიცაა სირია და თურქეთი ერთმანეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში იმყოფებიან. ახლა ქვეყნის პრეზიდენტად რეფორმატორის არჩევის შემდეგ, საქართველოს ირანიდან გაზმომარაგება და ამით აირის იმპორტის დივერსიფიკაცია, შეიძლება კვლავ რეალური განხილვის საგნად გადაიქცეს. სპეციალისტები სულ უფრო დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ რუჰანის არჩევით, ირანისა და დასავლეთის ურთიერთობებში, შესაძლოა, „დათბობა“ დაიწყოს და სანქციები შესუსტდეს. ამ შემთხვევაში ირანი, რომლის დადასტურებული გაზის მარაგი, ბოლო შეფასებებით, უკვე რუსულსაც კი აღემატება, შეიძლება კვლავ გამოჩნდეს მსოფლიოს ენერგეტიკულ ბაზრებზე საწვავის ერთ-ერთი უმთავრესი მომწოდებლის სახით.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის სანქციებამდე ირანში უკვე დაწყებული იყო გარკვეული სამუშაოები „სამხრეთ ფარსის“ საბადოებში ინვესტიციების მოსაზიდად:

2008 წლიდან სანქციებამდე ირანის „სამხრეთი ფარსის“ ათვისებასთან დაკავშირებით გაფორმებული, მაგრამ განუხორციელებელი მემორანდუმები	
2007 ივლისი	გაფორმდა თურქეთის TPAO-ს და ირანის National Iranian Oil Co.(NIOC)-ის მემორანდუმი „სამხრეთ ფარსის“ 22-24 ფაზებიდან ევროპაში საექსპორტოდ წლიურად 20.4 მლრდ კუბმეტრ გაზის მოპოვებაზე
2008 აპრილი	გაფორმდა მემორანდუმი ფრანგულ „ტოტალთან“ და ინგლისურ-ჰოლანდიურ „როიალ-დაჩ შელთან“ მე-11 და მე-13 ფაზების ათვისებაზე
2008 მაისი	ინგლისურ-ჰოლანდიურმა „როიალ-დაჩ შელმა“ და ესპანურმა „რეპსოლYPF“-მ დროებით შეწყვიტეს მე-13 ფაზასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები
2008 ივლისი	ირანმა გამოაცხადა „სამხრეთ ფარსის“ ბაზაზე 28 მლრდ დოლარის ღირებულების გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) ტერმინალების შექმნის სურვილი
2008 აგვისტო	„როიტერთან“ ინტერვიუში ანკარისა და თეირანის წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი თურქეთის გავლით ირანული გაზის ევროპაში ექსპორტის შესახებ
2008 ნოემბერი	ირან-თურქეთის „სამხრეთის ფარსის“ 22-24 ფაზების ათვისებაზე და გაზის ევროპაში თურქეთის გავლით ტრანსპორტირებაზე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა
2009 მარტი	ირანმა ოფიციალურად განაცხადა: მე-9 და მე-10 ფაზებიდან წლიურად 18.25 მლრდ კუბმეტრი გაზის მოპოვებაა შესაძლებელი
2009 ივნისი	ირანმა გამოაცხადა, თითქოსდა დაიწყო ირან-თურქეთ-ევროპის დამაკავშირებელი, 1740 კმ-იანი “ფარსის” გაზსადენის პირველი რიგის მშენებლობა. ამ გაზსადენის მეორე მარშრუტი, ერაყ-სირიის გავლით, ხმელთაშუა ზღვით თითქოსდა საბერძნეთ-იტალიას დაუკავშირდებოდა.

ცხრილიდან ირკვევა, რომ უახლოეს მომავალში ირანის ენერგოსექტორში ინვესტირების განხორციელება სავსებით რეალურია. მეტიც, მოქმედი სანქციების მიუხედავად, უკვე ა/წლის ივლისის ბოლოს, ირანმა საკუთარი ძალებით დაიწყო თავისი გიგანტური „სამხრეთის ფარსის“ მე-12, მე-15 და მე-16 ფაზების ათვისება. ექსპერტების აზრით, ენერგობაზრებზე სიტუაციის ამ სცენარით განვითარება ევროპისთვის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ — აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მარშრუტის მნიშვნელობას კარდინალურად შეამცირებს. ბაქო შესაძლოა, დასავლეთის მხრივ კრიტიკის ობიექტად იქცეს იმ პრობლემების გამო, რაზეც დღეს ევროპას „თვალის დახუჭვა“ ურჩევნია — ადამიანის უფლებები, პრესაზე ზეწოლა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების პრობლემები და ა.შ. საქართველოსაც, ყაზახურ და ირანულ გაზზე იოლი ხელწვდომის მიღების შემთხვევაში, ეძლევა შანსი, აზერბაიჯანისთვის „დამყოლი“ ტრანზიტორის ნაცვლად, გადაიქცეს მომთხოვნ გადამყიდველად ანუ რეექსპორტიორად — ისეთად, როგორიც ბაქოსთვის თურქეთია.

საინტერესოა, რომ ირანის გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე დაბრუნება შეიძლება რუსეთისთვისაც პოზიტიური იყოს. ევროპისთვის მისაწოდებელი საექსპორტო გაზის საბადოების ამოწურვის და უკრაინაზე გართულებული ტრანზიტის ფონზე, ძნელი გამოსარიცხია, რომ მოსკოვმა საბჭოთა კავშირისდროინდელი მექანიზმი არ აამოქმედოს. კერძოდ, შეიძლება მოსკოვმა სამხრეთ კავკასიაში თავის სტრატეგიულ მოკავშირეს, სომხეთს (ანუ „გაზპრომის“ საკუთრებაში მყოფ „არმროსგაზპრომს“) მომავალში ევროპის მიერ შესყიდული ირანული გაზის თავრიზი-მეგრის გაზსადენით იმპორტის და შესაბამისი ოდენობის რუსული გაზის, როგორც ირანულის, ევროპაში ექსპორტის („სვოპი“) სქემით მუშაობა დაავალოს.

ამის შემდეგ, სავარაუდოდ, რუსეთის ან ირანის მხრივ შეიძლება კვლავ წამოიჭრას რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი საქართველოს „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზების საკითხი, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჰასან რუჰანის მთავრობასთან მოლაპარაკება, თუკი ასეთი შედგება, საჭიროა, ამ გაზსადენის სტრატეგიული ადგილისა და როლის გათვალისწინებით წარიმართოს ანუ ის სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რვა წლის წინ ამ გაზსადენის ხელში ჩაგდებას რუსული მონოპოლისტი „გაზპრომი“ ცდილობდა.

ეს იმითაა განპირობებული, რომ რუსული და ირანული ენერგოკომპანიების სტრატეგიას, უწინარეს ყოვლისა, მათზე სახელმწიფოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლი განაპირობებს, რომელიც აღნიშნულ სამეწარმეო სუბიექტებს ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების აქტიურ გამტარებლებად აქცევს. აქედან გამომდინარე, ანტიირანული სანქციების გაუქმების შემდეგ, „გაზპრომს“, სავარაუდოდ, დაევალება სომხეთ-საქართველოს გაზის ქსელი რევერსით ანუ გაზის ნაკადის საპირისპირო მიმართულებით – სამხრეთიდან ჩრდილოეთით გასატარებლად გამოიყენოს, როგორც ირანული გაზის ევროპაში რუსეთის გავლით ტრანზიტის გზა.

სწორედ ამით იყო გამოწვეული 2005 წელს „გაზპრომის“ მხრივ ჩვენი „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზების ინტერესი. სხვაგვარად ვერ აიხსნება რუსული მონოპოლიის სურვილი მაღალი სიმძლავრის, მაგრამ დაუტვირთავი (ძირითადი 1200 მმ, სარეზერვო — 700 მმ მილები სანახევროდაც არაა დატვირთული. მისი საპროექტო სიმძლავრეა 18 მლრდ. კუბ.მ აირი; სსრკ-ს არსებობის ბოლო წლებში, მოხმარების შემცირების გამო, ის 1-2 წლის განმავლობაში, მხოლოდ 9.5 მლრდ. კუბ.მ აირს ატარებდა, ხოლო ამჟამად მეათედი დატვირთვით მუშაობს) გაზსადენის მიმართ, რომლითაც სომხეთი, საქართველოს გავლით, რუსული გაზით მარაგდება, ამიტომაც იყო, რომ 2007 წელს „გაზპრომმა“ მხარი დაუჭირა ირანიდან სომხეთში გაზსადენის მშენებლობას. უფრო მეტიც, მან მონაწილეობა მიიღო ამ პროექტის დაფინანსებაში — „გაზპრომიდან“ 140 მლნ დოლარის კრედიტით გაზსადენის 120-კილომეტრიანი სომხური მონაკვეთი გაიყვანეს. გაზსადენი 2007 წლის 20 მარტიდან უკვე ფუნქციონირებს და სომხეთის ქსელით უშუალოდ უკავშირდება ჩვენს „მაგისტრალურ გაზსადენს“.

რუსული მონოპოლიის „მაგისტრალურ გაზსადენისადმი“ ინტერესს ისიც განაპირობებს, რომ „გაზპრომი“ აქტიურადაა ჩართული ირანის „სამხრეთ ფარსის“ გაზის საბადოს ათვისებაში. იგი ამ ირანულ სტრუქტურაში ფლობს 30-პროცენტიან წილს და აპირებს 56-დუიმიანი გაზსადენის ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით მშენებლობას. მაშასადამე, საქართველოზე გამავალი „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზების შემთხვევაში „გაზპრომს“ ექნება საკუთარი (ანუ ირანში მოპოვებული გაზი) და მილი (ანუ საქართველოზე გამავალი „მაგისტრალური გაზსადენი“) ევროპაში გაზის გადასაგზავნად. ამასთან, ვინაიდან 1998 წლის შემდეგ, „არასასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების“ შესახებ კანონის მოთხოვნით, ყველა სახელმწიფო აქტივი მიწიანად უნდა გაიყიდოს, „გაზპრომს“ ამ გაზსადენის პრივატიზების შემთხვევაში, ექნება მილი თავის მიმდებარე მიწიანად. ეს კი რუსეთს საშუალებას მისცემს, გაზსადენის უსაფრთხოების დაცვის მოტივით, მოითხოვოს გარკვეული სამხედრო კონტინგენტის გამოყენება მილის ნებისმიერ წერტილში.

ამავე დროს, შეუძლებელია, დაეთანხმო 2005 წელს ზოგი რუსი ექსპერტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს „გაზპრომს“ ჩვენი გაზსადენი თურქეთში გაზის ტრანზიტისთვის სჭირდება. აღმოსავლეთ თურქეთის ბაზარი რუსეთსა და ირანს ისედაც უკვე ათვისებული აქვთ. სინამდვილეში, „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზებით და გაზის ნაკადის მიმართულების შეცვლით, რუსეთი განიმტკიცებს ევროპაში გაზის მონოპოლისტის როლს, რადგან ბალტიის ფსკერზე „ჩრდილოეთ ნაკადის“ გაყვანის შემდგომ, არსებული ე.წ. ძველი გაზსადენებითა და, მომავალში, ირანული გაზით მას გარანტირებული ექნება ევროპაზე ხანგრძლივი გეოპოლიტიკური ზემოქმედება. თანაც, ის კიდევ უფრო „მიიბამს“ სტრატეგიულ პარტნიორებს — სომხეთსა და ირანს.

აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა „გაზპრომის“ ცენტრალურ ოფისში, მოსკოვში ა/წლის 17 ივნისს, „გაზპრომის“ გამგეობის თავმჯდომარის ალ. მილერისა და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის ა. მოვსისიანის მოლაპარაკებების ფაქტით. მედიაში გაჟღერებული მონაცემებით, საუბარი შეეხო „არმროსგაზპრომში“, რომელიც, პრაქტიკულად, სომხეთის გაზის ქსელის მფლობელია, ამ ქვეყნის მთავრობის დარჩენილი 20%-ის გაყიდვას. ამ ქსელით ევროპისკენ ირანული გაზის ტრანზიტისათვის, „გაზპრომს“ დარჩება ბოლო ნაბიჯის გადადგმა — საქართველოს „ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის“ დასაკუთრება.

აზერბაიჯანში, 9 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება

აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის, ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი ლიდერობს. ალიევის მთავარი კონკურენტი ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი 61 წლის ჯამინ ჰასანლია, რომელიც აცხადებს, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, მას გამარჯვების შანსი ექნება. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის უმრავლესობა ილჰამ ალიევს დაუჭერს მხარს, ის პრეზიდენტის პოსტს, მესამედ, ხუთწლიანი ვადით დაიკავებს.

„ვერსიანიუსი“

11 ოქტომბერს წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება

საპატრიარქოში, 11 ოქტომბერს, წმინდა სინოდის მორიგი სხდომა გაიმართება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ განუცხადა. მისივე თქმით, წმინდა სინოდის სხდომაზე განსახილველი საკითხები წინასწარ უცნობია.

„წმინდა სინოდის სხდომაზე რა საკითხები იქნება განხილული, წინასწარ არავინ არასოდეს იცის“, — განაცხადა მეუფემ.

მღვდელმთავრის განმარტებით, სხდომა ტრადიციულად, 12:00 საათზე დაიწყება. ჩვეულებრივ, წმინდა სინოდის სხდომა გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება. სხდომა წელს უკვე მეორედ ტარდება. ბოლო სხდომა 23 აპრილს გაიმართა. წმინდა სინოდის სხდომებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II ხელმძღვანელობს.

„ინტერპრესნიუსი“

ამერიკული გამოცემა PNAS: „დმანისში მცხოვრები უძველესი ადამიანები კბილის საწმენდით სარგებლობდნენ“

დმანისში მცხოვრები უძველესი ადამიანები კბილის საწმენდით რეგულარულად სარგებლობდნენ, — ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული გამოცემა PNAS („მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე“) ავრცელებს, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის სტატიას აქვეყნებს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 20 წლის წინ საქართველოში, დმანისთან ახლოს, პალეონთოლოგების მიერ ნაპოვნი ადრეული ადამიანის ნიმუშებზე კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კბილებსა და ყბის ძვლებზე მათ უამრავი პარალელური და ღრმა ნაკაწრი ჰქონდათ, რომელიც სავარაუდოდ, კბილის საწმენდის არასწორად გამოყენებას უკავშირდება.

ყოველივე ეს აღმოჩენის ავტორებს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დმანისის უძველესი მაცხოვრებლები კბილის საწმენდებს ამზადებდნენ და იყენებდნენ.

„ვერსიანიუსი“

ვის ინტერესებში შედის პროფილაქტიკური ცენტრის „შუა ქალაქი“ გასხვისება და რამდენ ათას ლარს იჯიბავს მერია ყოველთვიურად

ნათია ზედგენიძე

თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრების გასხვისების სქემა კვლავ გრძელდება. „შუა ქალაქის“ გასხვისების გამო ატეხილი აჟიოტაჟი ახალ ფაზაში გადადის და მედპერსონალი პაციენტებს უკვე საპროტესტო აქციების ფონზე იღებს. სამკურნალო პროფცენტრის პედიატრი ნანა კახნიაშვილი არსებული პრობლემის უახლეს დეტალებს გვიამბობს.

— ჩვენი პრობლემები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო. 2012 წლის 20 ნოემბერს, პოლიკლინიკის თანამშრომლების მალულად, გამოცხადდა ტენდერი და თბილისის მერიამ საავადმყოფოს შენობა აუქციონზე გაიტანა. ჩვენი პროტესტი ყურად არ იღეს და ძალიან მალე გაამარჯვებინეს ტენდერამდე ერთი კვირით ადრე დაფუძნებულ კომპანიას. ეს არის შპს „მედიკომი“. მანამდე არსებობდა ორი შპს „კლერიონისა“ და „მედიკომის“ სახით. ეს ორი შპს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ანდრია ურუშაძის ოჯახის წევრებზეა გაფორმებული. შემდეგ ამ კომპანიებს გამოეყო კახა ლომსაძე და შექმნა ახალი შპს მეორე „მედიკომი“.

— ვინ არის კახა ლომსაძე?

— ამ პიროვნების წარსულის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ცხოვრობდა ამერიკაში, მერე, როგორც გავარკვიეთ, ამერიკის ინტერპოლის მიერ იძებნებოდა, ამიტომ გვარი გადაიკეთა და საქართველოში გამოიქცა. ლომსაძე რომ დაეჭირათ ამერიკაში, 25 წლით ჩასვამდნენ. აი, ასეთ პიროვნებას გაამარჯვებინეს ტენდერში და ახლა ცდილობს ჩვენი პოლიკლინიკის შესყიდვას, რომელიც მილიონ ასი ათას ლარადაა შეფასებული. როგორც კი ლომსაძე ჩვენს შენობაში შემოვიდა, მედპერსონალს შეგვხვდა, უამრავ რამეს დაგვპირდა. არადა, ამ პოლიკლინიკაში 20 წელია ვმუშაობთ და რემონტიდან დაწყებული, ყველაფერი ჩვენი სახსრებით გავაკეთეთ. დღეს ლომსაძე ტელევიზიით აცხადებს, ამ პოლიკლინიკაში 35 წელია რემონტი არ გაკეთებულა და მისვლისთანავე მე გავაკეთეო, რაც მტკნარი სიცრუეა. ჯერ ერთი, რატომ გააკეთებდა, ეს შენობა მის საკუთრებაში არ არის, რადგან ფული არ აქვს გადახდილი. რეალურად, ამ ადამიანს სხვა გეგმები აქვს. მან დაიწყო პოლიკლინიკაში აფთიაქის გაკეთება იმ მიზნით, რომ მთელი ჩვენი დაწესებულება ამ აფთიაქზე ვყოფილიყავით დამოკიდებული ანუ თავისი ბიზნესგეგმა ჰქონდა, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცით.

ერთი კვირის წინ, გაათავისუფლეს ჩვენი პოლიკლინიკის დირექტორი ვლადიმერ ზარდალიშვილი, რომელიც განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ლომსაძის გეგმებს. ამ დროს ლომსაძე შეეცადა, მთელი პოლიკლინიკა „ტაოპრივატბანკის“ დაქვემდებარებაში გადაეყვანა. როგორც გავარკვიეთ, მან ეს მხოლოდ იმიტომ მოისურვა, რომ პოლიკლინიკის შესაძენი ფული არა აქვს, ეს შენობა უნდა ჩაედო გირაოს სახით და შემდეგ იქიდან აღებული თანხით ეყიდა შენობა. დღემდე, ყოველ საღამოს მოჰყავს გაურკვეველი ჯგუფები და პოლიკლინიკის შენობას აფასებინებს. მას ამ შენობის გადაყიდვა სურს.

— ვლადიმერ ზარდალიშვილი რა მიზეზით მოხსნეს პოლიკლინიკის დირექტორის პოსტიდან?

— მან არ მისცა ლომსაძეს ჩვენი დაწესებულების ფინანსურ დოკუმენტაციაში ჩახედვის უფლება, თავიდანვე ხელს უშლიდა მზაკვრული გეგმების განხორციელებაში. ბატონი ვლადიმერი უპატიოსნესი ადამიანია და სამედიცინო წრეში ეს ყველამ იცის, ამიტომაც ლომსაძემ დაგვაბრალა, თითქოს ჩვენს პოლიკლინიკაში შავი ბუღალტერია გვაქვს და თითქოს გაურემონტებელ, ბინძურ შენობაში ვმუშაობთ. მოვითხოვთ სპეციალური კომისიის შემოსვლას, შეამოწმონ, რა შავ ბუღალტერიაზე ლაპარაკობს ბატონი ლომსაძე. რაც მთავარია, დირექტორი ისე მოხსნა, არც კი შეატყობინეს და მის ნაცვლად ვინმე ლაშა მიქაუტაძე დანიშნა, რომელიც პროფესიით იურისტია და სამედიცინო სფეროსთან არ აქვს შეხება. სხვათა შორის, ლომსაძემ არც ის დაგვიმალა, რომ ჩვენი პოლიკლინიკის საქმეში თბილისი მერიის ძალისხმევით ჩაერთო და გვითხრა, ამ ამბავს ძალიან ვნანობო.

— ამ საკითხზე ჯანდაცვის მინისტრს არ შეხვდით?

— ჩვენი პოლიკლინიკის წარმომადგენლები შეხვდნენ ჯანდაცვის მინისტრს, რომელმაც აგვიხსნა, რომ დღეს არანაირი ბერკეტი არ აქვს, პრობლემა მოაგვაროს, რადგან სამედიცინო დაწესებულებები ქალაქის მერიის დაქვემდებარებაშია. ეს კარგად იცის ლომსაძემ და ამიტომაც გველაპარაკება რიხით. ამასობაში, ექიმები ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდით: სამსახურის დაკარგვის საშიშროებას თავი რომ დავანებოთ, დღისით ვმუშაობთ, საპროტესტო აქციების ფონზე, ღამით კი მორიგეობით ვდარაჯობთ ჩვენი პოლიკლინიკის შენობას, ლომსაძემ რომ არავინ შემოიყვანოს. რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვეს. საკრებულოში ჩვენი საკითხის განსახილველად რიგგარეშე სხდომა ჩაატარეს, მაგრამ გიგი უგულავამ იქ მისვლაც კი არ იკადრა. ფაქტია, ქალაქის მერია ცდილობს, მოასწროს სახელმწიფო შენობების გაყიდვა. ისე, საინტერესოა, რატომ უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულებები მერიის და არა ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში? ისე ვმუშაობდით, ერთი თეთრი დავალიანება არ გვქონია. მეტიც, ბოლო 6-7 წელია, თბილისის მერიას ყოველთვიურად ჩვენი პოლიკლინიკის მოგების 50, ხანაც 100 პროცენტი ერიცხება, რაც თვეში 25-30 ათას ლარს აღემატება. ეს ძალიან კარგად იციან „ახალმა მეპატრონეებმა“, მაგრამ ჩვენ საკუთარ უფლებებს ბოლომდე დავიცავთ, ვიბრძოლებთ და შენობას არავის გავაყიდვინებთ!

1. სარძევე ჯირკვლის ანთება
2. ისრაელის პარლამენტი
3. ქალებს გადაყოლილი მამაკაცი
4. დავით აღმაშენებლის „გალობანი ...“
5. ნახევრად ძვირფასი ქვა
6. ტიბეტური ხარი
7. ქაქუცა ჩოლოყაშ. ნამდვილი სახელი
8. სამხედრო წოდება
9. დროის დიდი მონაკვეთი
10. მდ. ვოლგის ძვ. სახელწოდება
11. ქალაქ მედინას ძვ. სახელწოდება
12. ქარების მბრძანებლის ეოლეს მეუღლე
13. სოფელი ადიგენის რაიონში
14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
15. ბაქტერიის სახეობა
16. მწერალ აკუტაგავას სახელი
17. დამუხტული ატომი
18. გმირი ქალი ... წყნეთელი
19. კომიკოსი ლუი დე ...
20. იაპონური ქალაღლის ფიგურები
21. ქვეყანა, მსოფლიო
22. ცხვრის ჯოგი
23. ლონდონის საქმიანი ცენტრი
24. თაგორის ლექსთა კრებული
25. ძველთბილისური ცეკვა
26. ჩქარი ტემპი მუსიკაში
27. სასწ. დაწესებულ.
28. ჭრილობა
29. მოკლე მუსიკალური მისალმება
30. ცხიმოვანი სიმსივნე
31. მდინარე ფლორენციაში
32. ჯაკო დევდარიანის მეტსახელი „თეთრ ბაირაღებში“
33. გერმანიის სამრეწველო რეგიონი
34. იაპონელთა ჯიბის ყუთი
35. იატაკზე დასადგმელი სანათი მოწყობილობა
36. „სამეფო თევზი“
37. ხრიკი, ფანდი
38. ბიბლ. იაკობის საყვარელი ვაჟი
39. ებრაელთა ბიბლიური ბელადი
40. გეომეტ. ფიგურა
41. მცენარ. საღებავი
42. მსახიობი ... ჟაკობი
43. ბრედ პიტის მეუღლის გვარი
44. ბერძნული ანბანის II ასო
45. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
46. ივივა, რაც მადა
47. მდინარე იტალიაში
48. რემბრანდტის პირველი ცოლი
49. ღვინის ობი
50. ფუტკრის სახლი
51. ჩირქოვანი გამონაყარი სახეზე
52. ქალაქ მილანის საფეხბურთო სტადიონი
53. თბილისის უბანი
54. მუსიკალ. გამის II ნოტი
55. ასწყობი სათამაშოების დანიური ფირმა
56. მხატვარი ...-გრეკო
57. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
58. ყაჩაღთა ჯგუფი
59. ველური კომში
60. „ჭრელი“ მთები შუა აზიაში
61. ჩინური ტანვარჯიში
62. ძაფით ცნობილი პერსონაჟი ბერძნულ მითოლოგიაში
63. მდინარე აღმოსავლეთ საქარ-თველოში, ალაზნის შენაკადი
64. მთა, საც ზევსი გაიზარდა

ჩილეში ანტიმიკრობული მატარებელი ივლის

ჩილეს ქალაქ ვალპარაისოს მეტროში ცოტა ხნის წინ უჩვეულო მატარებელი გავიდა — ვაგონებში სპეციალური ანტიმიკრობული შენადუღია, რაც მგზავრებს სხვადასხვა დაავადებების გავრცელებისგან დაიცავს. სახელურების ზედაპირი, რომელსაც მგზავრები ხელით ეყრდნობიან, სპილენძის საფუძველზე შექმნილი ნაერთითაა დაფარული. გამოკვლევების მიხედვით, სპილენძი 99,9%-ით ანადგურებს ყველა ბაქტერიას, ვირუსსა და სოკოს. ჩილეს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ეს ინიციატივა საშუალებას მისცემთ, მიკრობებისგან დაიცვან ის ადამიანები, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით, პირველ რიგში კი, მეტროპოლიტენით მგზავრობს.

წინა ნომერში გასუღი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

აღვილი

2	4	3	9	1	8	7	6	5
1	9	7	4	6	5	8	3	2
8	6	5	7	3	2	1	4	9
4	3	2	1	5	7	9	8	6
9	7	6	2	8	4	5	1	3
5	1	8	6	9	3	2	7	4
6	5	1	3	7	9	4	2	8
7	2	9	8	4	6	3	5	1
3	8	4	5	2	1	6	9	7

სცენარი

1	7	6	3	8	5	4	2	9
2	5	9	7	4	6	1	3	8
4	8	3	2	1	9	7	6	5
8	6	7	1	3	4	9	5	2
5	4	2	9	7	8	6	1	3
9	3	1	6	5	2	8	7	4
7	1	8	4	2	3	5	9	6
6	2	5	8	9	1	3	4	7
3	9	4	5	6	7	2	8	1

აღვილი

2	5	4	3	1	9	8	6	7
3	7	1	6	8	5	4	9	2
9	8	6	4	7	2	3	1	5
5	6	2	1	3	8	7	4	9
1	4	7	9	2	6	5	8	3
8	9	3	7	5	4	6	2	1
4	3	9	2	6	7	1	5	8
7	2	5	8	4	1	9	3	6
6	1	8	5	9	3	2	7	4

სცენარი

3	2	5	9	7	4	8	1	6
8	9	1	6	3	5	7	4	2
7	6	4	8	2	1	5	3	9
5	3	6	4	1	7	9	2	8
4	8	2	5	6	9	3	7	1
1	7	9	3	8	2	4	6	5
6	4	8	2	9	3	1	5	7
2	5	7	1	4	8	6	9	3
9	1	3	7	5	6	2	8	4

რთული

6	5	4	3	7	2	1	9	8
7	1	9	4	6	8	5	3	2
8	3	2	5	1	9	7	6	4
1	4	7	6	8	5	3	2	9
9	2	3	1	4	7	8	5	6
5	6	8	2	9	3	4	1	7
4	9	6	8	5	1	2	7	3
3	7	1	9	2	4	6	8	5
2	8	5	7	3	6	9	4	1

ეჭსჯერგი

6	9	8	5	7	4	3	1	2
7	5	2	8	3	1	9	6	4
4	1	3	9	6	2	5	8	7
5	2	4	3	1	9	6	7	8
3	6	1	7	8	5	4	2	9
9	8	7	4	2	6	1	5	3
2	3	5	6	4	8	7	9	1
1	7	9	2	5	3	8	4	6
8	4	6	1	9	7	2	3	5

რთული

3	4	2	1	9	8	7	6	5
1	9	6	5	7	4	8	2	3
8	7	5	6	3	2	1	4	9
9	3	7	4	8	1	6	5	2
6	2	1	9	5	7	4	3	8
5	8	4	3	2	6	9	7	1
7	1	3	8	6	5	2	9	4
4	6	9	2	1	3	5	8	7
2	5	8	7	4	9	3	1	6

ეჭსჯერგი

7	2	8	6	4	5	3	1	9
1	5	4	9	8	3	2	7	6
9	6	3	7	2	1	8	5	4
5	4	1	3	6	2	9	8	7
3	9	7	1	5	8	6	4	2
2	8	6	4	9	7	5	3	1
8	1	5	2	7	9	4	6	3
6	7	2	8	3	4	1	9	5
4	3	9	5	1	6	7	2	8

მე-13 გვერდი: 1. კანიბალი; 2. პლატინი; 3. კაბოშონი; 4. ნაირა; 5. ბრისტოლი; 6. ლეპორელო; 7. ტრავესტი; 8. ნუში; 9. აბრისი; 10. ნჯამენა; 11. ტრანში; 12. პლანშე; 13. ორისაბა; 14. აპოლონი; 15. პირს; 16. ჯონ; 17. ლებანი; 18. რაეო; 19. ლისი; 20. ბაზალტი; 21. ლიტი; 22. ლიმა; 23. სმეტანა; 24. სუში; 25. ადიულტერი; 26. საბა; 27. ნაბადი; 28. მზე; 29. სხვიტორი; 30. შანდალი; 31. ეტნა; 32. ეტლი; 33. ხემი; 34. ბინი; 35. პირომანია; 36. ბერლინი; 37. ალო; 38. ამადუ; 39. ვანილი; 40. დალი; 41. ბუა; 42. ნორა; 43. ბრონტე; 44. გოია; 45. მანტო; 46. ტევტონები; 47. გოა; 48. ტრამპლინი; 49. ტაქტიკა; 50. მაია; 51. ადამსი; 52. რეა; 53. ორიენტი; 54. ვია; 55. სიმონი; 56. ნეპალი; 57. პაატა; 58. სმოგი; 59. ტრიუმი; 60. პიექსი; 61. ხმა; 62. იმაგო; 63. უმი; 64. ორბიტა; 65. ბინა; 66. ქიმერა; 67. ამირბარი; 68. ანოა; 69. ერბო; 70. მამაი; 71. რაე; 72. კორდელია; 73. დვაბზუ; 74. თია; 75. რაუტი; 76. გუდაური; 77. ვაი; 78. დიქცია; 79. არაბია; 80. ჰა; 81. სანტანა; 82. სურო; 83. ჯერ.

ჰოროსკოპი
9 ოქტომბერი

ვერძი — დღეს შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს ვითარება თქვენს ირგვლივ; ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება. არ არის გამორიცხული პერსპექტიული ახალი ნაცნობობა.

კურო — ამბავი, რომელსაც დღის პირველ ნახევარში შეიტყობთ, სასიამოვნოდ გაგაოცებთ. ეს ინფორმაცია მატერიალურ სარგებელს გპირდებათ.

ტყუპები — შესაძლოა, უკმაყოფილო დარჩეთ კოლეგების საქციელით, მაგრამ საკუთარი დამოკიდებულების გამჟღავნებისგან თავი შეიკავეთ. დაფიქრდით და არ გაიფუჭოთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან.

კირჩხიბი — მოგიწევთ, მეტი დრო დაუთმოთ სამსახურს, რადგან კარიერა ახლა თქვენგან თავდადებას მოითხოვს, მაგრამ ეცადეთ ყურადღება არც ოჯახის წევრებსა და მეგობრებს მოაკლოთ.

ლომი — მხოლოდ იღბალს ნუ დაეყრდნობით... თუ დაწყებული საქმისთვის ბოლომდე არ იბრძოლებთ, დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდებით. გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები და ვითარების ადეკვატურად იმოქმედეთ.

ქალწული — წარმატებული დღეა გარშემომყოფებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებთ სწორი აქცენტების გაკეთებას.

სასწორი — ყველა მეთოდით მოგიწევთ ბრძოლა საკუთარი ინტერესების დასაცავად. არავითარ შემთხვევაში არ დაიხიოთ უკან, რადგან დადგა დრო, როცა სხვები უნდა წავიდნენ კომპრომისზე.

ღრიანკალი — პირად საქმეებს პროფესიული ინტერესები გადაწონის. ახლა სწორედ ასე უნდა მოიქცეთ, რადგან მხოლოდ ასე მიაღწევთ დასახულ მიზანს.

მშვილდოსანი — თუ შეძლებთ ვითარების ობიექტურად შეფასებას, მაშინ არც იმის გაგება გაგიჭირდებათ, ვინაა ნამდვილი მეგობარი. გახსოვდეთ, რომ თქვენი წარმატება ყველას არ უხარია, ამიტომ ნაკლებად გაუზიარეთ ასეთ ადამიანებს თქვენი სამომავლო გეგმები.

თხის რქა — თქვენი უხასიათობიდან გამომდინარე, ურთიერთობა დაგეძაბებათ გარშემომყოფებთან, ამიტომ ეცადეთ ნაკლებად მოახვიოთ სხვებს თქვენი პრობლემები.

მერწყული — გეგმების რეალიზება ადვილი არ არის, ბევრი წინააღმდეგობა გხვდებათ, მაგრამ თუ რეალობის შეგრძნებას არ დაკარგავთ და არსებულ ვითარებას სწორად გააანალიზებთ, არც ლავირება გაგიჭირდებათ.

თევზები — კარგი იქნება, თუ დიდი ხნის უნახავ მეგობრებს მოინახულებთ. მიეცით თავს განტვირთვის საშუალება.

გახდომაში დღიურის წერა დაგეხმარებათ

სწავლულებმა წონაში დაკლების ახალ მეთოდს მიაგნეს — ეს დღიურის წარმოებაა. ექსპერიმენტში 45 მსუქანი სტუდენტი მონაწილეობდა, რომელთა ნაწილს მკვლევარებმა სთხოვეს, დღიურის წარმოებისთვის დღეში 15 წუთი დაეთმო და იქ საკუთარი გრძნობები და შთაბეჭდილებები აესახა; მეორე ჯგუფს კი იმ თემებზე წერა დაავალეს, რაც არა მათთვის, არამედ სხვებისთვის იყო მნიშვნელოვანი. 4 თვის შემდეგ წონის კონტროლმა აჩვენა, რომ საშუალოდ 1,5 კილოგრამით დაიკლეს იმ სტუდენტებმა, ვინც დღიურში მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე წერდნენ. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ საკუთარ ღირებულებებზე ფიქრი და შემდეგ ამის ფურცელზე გადატანა დადებითი გავლენას ახდენს ადამიანზე.

ამინდის პროგნოზი

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თბილისი	+18	+18
ქუთაისი	+23	+27
ბათუმი	+21	+24
სოხუმი	+21	+25
თელავი	+18	+19
გუდაური	+9	+9
ბაკურიანი	+12	+13
მესტია	+15	+18

ავადმყოფობა უმი ხორცის ჭამას აიძულებს

კენტუკის შტატში მცხოვრები დერეკ ნენსი სრულიად არაჩვეულებრივი ადამიანია. საქმე ის არის, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მამაკაცი მხოლოდ და მხოლოდ უმი ხორცით იკვებება და კბილებსაც ცხოველური ცხიმით იწმენდს... ამ ყველაფრის მიზეზი ამოუცნობი დაავადებაა, რომელიც დაახლოებით, ექვსი წლის წინ შეეყარა. იმ პერიოდში დერეკი ხშირად ავადმყოფობდა და წონაშიც დაიკლო. თავიდან ექიმები ფიქრობდნენ, რომ მას საკვებზე ჰქონდა ალერგია, მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ ჰქონდა. მაშინ მამაკაცმა გადაწყვიტა, მხოლოდ რძის პროდუქტი ეჭამა, მერე ხორბალზე გადავიდა, ყველანაირი დიეტა მოსინჯა, მაგრამ უშედეგოდ. როცა განკურნების იმედი თითქმის დაკარგა, სწორედ მაშინ გაახსენდა ერთ-ერთი ნაცნობის რჩევა, რომელმაც დიდი ხნის წინ „გამოქვაბულის ადამიანის“ დიეტის დაცვა შესთავაზა. იმდენ ხანს ავადმყოფობდი, ამ სენის დასამარცხებლად ყველაფრისთვის ვიყავი მზად, — ამბობს ნენსი, რომელმაც უმი ხორცის ჭამა დაიწყო და ტკივილიც ნელ-ნელა გაქრა.

სიმინდი-ცისარტყელა

სიმინდის ეს ჯიში ისე ნაირფრად ბრწყინავს, შეუძლებელია თვალი მოწყვიტო, ამიტომ მას ცისარტყელას უწოდებენ. სიმინდის ეს სახეობა ოკლაჰომელმა ფერმერმა კარლ ბარნსმა გამოიყვანა და ამ საქმეს თითქმის მთელი ცხოვრება შესწირა. სოფლის მეურნეების ამ სასწაულს ბევრი ხელოვნების ნიმუშადაც კი მიიჩნევს, დღეს კი ბარნსის საქმის გამგრძელებელი არიზონელი ფერმერი ბილ მაკდორმენია, რომელსაც სიმინდის მარცვლები შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ და ახლა ამ მემკვიდრეობას თვალის ჩინივით უფრთხილდება.

ჰოროსკოპი
10 ოქტომბერი

ვერძი — ჰარმონიული დღეა, რომელიც რომანტიკულ ურთიერთობას, ძალების, შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავებას გპირდებათ. ორიგინალური იდეების რეალიზებაც არ იქნება რთული, შეგიძლიათ, ამ საქმეში ახლობლებს სთხოვოთ დახმარება.

კურო — კარგად გაერკვიეთ საკუთარ გრძნობებში და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგით რადიკალური ნაბიჯი. ეცადეთ, დროებით გვერდზე გადადოთ ეგოიზმი და იმ ადამიანებზეც დაფიქრდეთ, ვისაც მართლა უყვარხართ.

ტყუპები — დროა, ცხოვრება ისეთი მიიღოთ, როგორიც სინამდვილეშია და გაითვალისწინეთ, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო.

კირჩხიბი — თუ კარიერაზე ფიქრობთ, გახსოვდეთ, რომ რისკისა და გამბედაობის გარეშე ვერაფერს გახდებით, ინტუიცია კი დასახული მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

ლომი — შესანიშნავი პერიოდია ახალი ბიზნესის დასაწყებად ან ძველი პოზიციების გასამყარებლად. გახსოვდეთ, რომ უკომპრომისო ბრძოლა გელით.

ქალწული — დადგა დღე, როცა მარტო თავს გაცილებით უკეთ გრძნობთ, ვიდრე ვიღაცების კომპანიაში. გასააზრებელიც ბევრი გაქვთ. დღის მეორე ნახევარში სუფთა ჰაერზე გასეირნებაც არ გაწყენდათ საყვარელ ადამიანთან ერთად.

სასწორი — არ ღირს, საკუთარი მოვალეობები სხვებს გადააბაროთ — ისინი მაინც ვერაფრით დაგეხმარებიან; მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

ღრიანკალი — შესაძლოა, ემოციებმა სულელური ნაბიჯი გადაგადგმევინოთ, ამიტომ კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

მშვილდოსანი — გაუაზრებელმა ქმედებამ, შესაძლოა, ვითარება თქვენს საზიანოდ შემოაბრუნოს, ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას ენდეთ.

თხის რქა — დღეს ადვილად შეძლებთ გარშემომყოფთა კრიტიკის ობიექტად იქცეთ, ამიტომ კარგად დაუფიქრდით ყოველ სიტყვას და ნუ ეცდებით ზედმეტი აქტიურობით მოიპოვოთ კოლეგების კეთილგანწყობა.

მერწყული — ახლა მხოლოდ მატერიალური პრობლემები გაწუხებთ და მხოლოდ იმაზე ხართ ორიენტირებული, როგორმე მოაგვაროთ ისინი, თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ყურადღება ოჯახის წევრებსაც სჭირდება.

თევზები — ვარსკვლავები გირჩევენ განმარტოებას — მხოლოდ ასე შეძლებთ, თავი აარიდოთ მოსალოდნელ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ნუ იქნებით მომაბეზრებელი და ურთიერთობის გარკვევისთვის უკეთეს დროს დაელოდეთ.

სუდოკუ

ადვილი

7	9				1			3
	2			3	9			8
8			6					
		2					4	6
		7		2		8		
9	5					7		
					6			4
4			1	8			5	
2			5				1	9

სტანდარტი

	2	1			8			
9	8	7	2			6		
6								
	3	5			6		8	9
			9		5			
7	9		8			4	2	
								2
		9			3	5	4	7
			5			9	6	

რთული

1				7			4	2
		9	2				3	6
	7							8
4			9					
			4	8	6			
					3			9
9							1	
6	3				5	2		
7	2			4				3

ექსპერტი

		1			4		7	
	5			9	2		1	
	4					9		5
			2					1
2	3						5	4
5					3			
8		7					4	
	6		7	2			9	
	2		4			5		

რაზე მეტყველებს ორგანოების ზომა?

ატლანტის კვლევითი უნივერსიტეტის Emory მეცნიერებმა ახალი ნაშრომი წარმოადგინეს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ნებისმიერი ორგანოს ზომა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს.

მაგალითად, გრძელი ენა იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი მიდრეკილია უძილობისკენ, სუნთქვის უკმარისობით იტანჯება და ხვრინავს. სწავლულების თქმით, დიდთეძოებიან ქალებს ტვინის ნორმალური ფუნქციონირება დარღვეული აქვთ, რაც განსაკუთრებით მძაფრდება მენოპაუზის დროს; ვიწრო მენჯი კი, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ გარეგნულადაა ლამაზი, თორემ რეალურად, გულის დაავადებებისა და ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდება.



ბრიტანეთის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა პროსტატით დაავადებული 1500 მამაკაცისა და ხელი 3 ათასი ჯანმრთელი მამაკაცის ხელის აგებულება ერთმანეთს შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ მათ, ვისაც საჩვენებელი თითი არათითზე უფრო გრძელი აქვთ, ეს დაავადება აწუხებთ. ამერიკელი ქირურგის, დევიდ ჰოული ჰან-ბურნის თქმით კი, თუ ადამიანს ფეხის მეორე თითი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე დიდი თითი, ხშირად აწუხებს ოსტეოქონდროზი. დიდთვალება ადამიანები, ძირითადად, ახლომხედველები არიან; რაც შეეხება გრძელ ფეხებს, სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ასეთ ადამიანებს დიაბეტი არასოდეს აწუხებთ.

ფერმერებისთვის სოციალური ქსელი ამოქმედდა

იმის ნაცვლად, რომ მეგობრებისა და ოჯახის წევრების ფოტოები ატვირთონ, ახალი არგენტინული სოციალური ქსელის მომხმარებლები ერთმანეთს სოიოს მინდვრების ფოტოებს უზიარებენ და ბოლო მოდელის ტრაქტორებს „ალაიქებენ“. 31 წლის ადვოკატმა მარიანო ტორუბიანომ გადაწყვიტა, Facebook-ის მსგავსად, ახალი ინტერნეტ-რესურსი აემუშავებინა სპეციალურად ფერმერებისთვის, რომელსაც SojaBook („სოიაბუქი“) უწოდა. არგენტინა მსოფლიოში სოიოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია და თანაც იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც სოციალური ქსელების ყველაზე აქტიური მომხმარებლები ცხოვრობენ. გაოგნებული დავრჩი, როცა ტრაქტორზე „ამხედრებული“ ფერმერი დავინახე, რომელსაც ერთ ხელში ნოუთბუქი ეჭირა, მეორეში — აიპოდი, — ამბობს ტორუბიანო, — ვიდრე მინდორი ითესებოდა, იგი ინტერნეტში მუსიკას უსმენდა. ჯერჯერობით, „სოიაბუქს“ მხოლოდ 1000 მომხმარებელი ჰყავს, თუმცა, ავტორის თქმით, ჯერ ყველაფერი წინაა, რადგან მისი ამოქმედებიდან ერთი თვეც არ გასულა.

ერმანიაში ლუდსადენი ეაჩნდა

უამრავი მამაკაცის ოცნება — ონკანი, საიდანაც წყლის ნაცვლად ლუდი წამოვიდოდა, გერმანელებს აუხდინეს ქალაქ გელზენკირხენში, ლუდსადენის საერთო სიგრძე 5 კილომეტრია და 100-ზე მეტ სავაჭრო წერტილს აერთიანებს, ქარვისფერი სასმელი კი მილებში ისეთი წნევით მიედინება, რომ ნებისმიერ ბარსა თუ რესტორანში ერთ წუთში 14 ლიტრი სასმელის ჩამოსხმაა შესაძლებელი. დღეისთვის ეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ლუდსადენია, თუმცა გასული საუკუნის ბოლოს, დანიაში წარმატებით მუშაობდა ტორას მილების ლუდსადენი, რომელიც სასმელით ქალაქ რენდერსისა და მისი შემოგარენის პაბებს ამარაგებდა.

ყველაზე ბინძური ნივთები

აშშ-ს არიზონას უნივერსიტეტის მეცნიერმა ჩარლზ გერბმა ყველაზე ჭუჭყიანი ნივთების გამოსავლენად კვლევა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი მიკრობი სამზარეულოს საჭრელ ხის დაფაზე რჩება და მათი რაოდენობა 200-ჯერ აღემატება უნიტაზზე არსებული მიკროორგანიზმების რიცხვს. სწავლული გვირჩევს, რომ დაფის გარეცხვის შემდეგ, მას ძმარი ან სპირტი გადავავლოთ. ბაქტერიების ჭარბი რაოდენობით, მეორე ადგილზე სახლის ტელეფონია, „საპატიო“ მესამე ადგილი კი ჭურჭლის სარეცხმა ღრუბელმა დაიკავა; შემდეგ მოდის საშხაპის ფარდა, რომელსაც სახლის დალაგების დროს ხშირად ყურადღებას არც კი ვუთმობთ და სამზარეულოსა და საპირფარეშოს ნაგვის ურნები; მეექვსე პოზიცია ჭურჭლის სარეცხმა მანქანამ დაიკავა — მისი კარი ისევე, როგორც მაცივრისა, მიკრობებისთვის საუკეთესო თავშესაფარია. ამ უჩვეულო რეიტინგს კი სარეცხი მანქანა ასრულებს. კვლევამ აჩვენა, რომ რეცხვის შემდეგ გადარჩენილი მიკრობები მანქანაში რჩება და ამიტომ კარგი იქნება, თუ თვეში ერთხელ მანქანას ცხელი წყლითა და ძმრით გამოვასუფთავებთ.

PARTNERS

Ministry of Finance of Georgia
Ministry of Energy of Georgia
Georgian Revenue Service
Regional Development & Infrastructure of Georgia
PARTNERSHIP Fund
Georgian Energy Development Fund
Georgian Chamber of Commerce & Industry

MEDIA-PARTNERS

Georgian Times | www.geotimes.ge
Please Contact: marketing@geotimes.ge

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს — უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო — უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდიმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.